„ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

რუსუდან აბუსელიძე

კრიტიკული კითხვა, როგორც ტექსტზე მუშაობის მეთოდი სკოლაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში,
განათლების აკადემიური დოქტორი

ხიჭაური
2020

ანოტაცია

ტექსტი რთული და მრავალფუნქციური ფენომენია, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. კრიტიკული კითხვა არის ტექსტის აღქმისა და ინტერპრეტაციის პირველი ეტაპი. ტექსტზე მუშაობა მოითხოვს მასალაში მნიშვნელოვანი საკითხების მონიშვნას, გარკვეული კომპონენტების, ჯგუფების მიხედვით დალაგებას მისი კვლავ გამოყენების მიზნით.

კრიტიკული კითხვა, როგორც სწავლების პრაქტიკული მეთოდი ტექსტის დამუშავებისას მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას იძლევა: ტექსტის გააზრება, ჩაღრმავებულად შესწავლა, შემდგომში ინფორმაციის სწრაფი მოძიება და გამოყენება სწორედ კრიტიკული კითხვის მეთოდით არის შესაძლებელი.

კვლევის მიზანი გახლავთ დაწყებით საფეხურზე კრიტიკული კითხვის შემაფერხებელი მიზეზების დადგენა, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა და შედეგების გასაუმჯობესებელი სტრატეგიების შეთავაზება, რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანაა კრიტიკული კითხვის უნარების განვითარების შემაფერხებელი პრობლემების, სირთულეების დადგენა, მასწავლებლის დახმარება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგოს მიდგომები მოსწავლის კრიტიკული კითხვის გასაუმჯობესებლად.

კვლევის მეცნიერული სიახლეა მეთოდებისა და მიდგომების შეთავაზება კრიტიკული კითხვის უნარის განსავითარებლად და არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

წყაროებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნები. მასალები წარმოდგენილია მაგალითებით, რაც ამაღლებს მათი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

ნაშრომი განკუთვნილია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

Annotation

Text is a complex and multifunctional phenomenon that contains a variety of important information. Critical reading is the first stage of text perception and interpretation. Work on the text requires important issues in the material, sorting it into certain components, groups in order to use it again.

Critical reading as a practical method of teaching allows for multifaceted work in text processing: comprehension of the text, in-depth study, subsequent rapid retrieval and application of information is possible through the method of critical reading.

The aim of the study is to identify the reasons that hinder critical reading at an early stage, to find ways to solve the problem, and to develop recommendations for improving inclusion.

Research objectives: The research objective is to answer the following questions: Do monotonous lessons hinder the development of critical reading skills? What difficulties do students face when reading? How can we help students improve their critical reading? What role do comprehension-oriented activities play in the development of student literacy?

Conclusions are based on analysis of sources and research results. The materials are presented with examples that enhance their practical application.

The work is intended for teachers and students.

სარჩევი

შესავალი 5

I თავი. კითხულობენ, მაგრამ გაგება უჭირთ 7

§1. არსებული ვითარების ანალიზი, კვლევები, სახელმძღვანელოები, წყაროები..... 7

§2. ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების ფაქტორები და წინაპირობა 10

II. თავი ანალიტიკური აზროვნების განვითარება 14

§1. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის აღზრდისათვის საჭირო მიდგომები..... 14

§2. კითხვის დიფერენცირებული სწავლება. 17

§3. ელექტრონული რესურსები წიგნიერების განვითარებისათვის. 19

§4. კვლევა 23

§5. სტრატეგიები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის. ტექსტზე მუშაობის ფორმები. .31

დასკვნები და რეკომენდაციები 61

გამოყენებული ლიტერატურა 63

შესავალი

თემის აქტუალობა. მოზარდისთვის სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება სწავლაა, სწავლის სათავე კი კითხვის, კერძოდ, კრიტიკული კითხვის უნარია, რომელსაც საფუძველი დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს. კითხვა მეტად რთული პროცესია, რომელიც მოიაზრებს არა მხოლოდ ამოკითხვას ანუ დეკოდირებას, არამედ აზრის გაგებას, მსჯელობას, დასკვნებსა და შეფასებას.

სასწავლო პროცესში მოსწავლეს ხშირად უწევს სხვადასხვა სახის ტექსტის წაკითხვა დამოუკიდებლად, სამწუხაროდ, კითხვასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ზოგჯერ შეიძლება, ტექსტი მხოლოდ წაკითხული დარჩეს და მოსწავლეს გაუჭირდეს მისი გაანალიზება, გაგება-გააზრება. კითხვის უნარი უშუალოდ უკავშირდება ბავშვის აზროვნების განვითარებას. სწორედ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები უშლის ხელს მოსწავლეს ტექსტის კრიტიკულად გაგება-გაზრებაში.

სწავლებისას ხშირია, რომ ბავშვმა თითქოს კარგად იცის ტექსტის შინაარსი, შეუძლია თანმიმდევრული თხრობა, კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ უჭირს ნაწარმოების თემისა და იდეის განსაზღვრა, შეფასება, ტექსტიდან აზრის გამოტანა და ა.შ. ბუნებრივია, ეს არ არის საფუძვლიანი ცოდნა, მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენაა ამა თუ იმ საკითხის მიმართ. აღნიშნული პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსწავლეს სათანადოდ არ აქვს განვითარებული ტექსტის გააზრებულად კითხვის უნარი.

საკუთარ სამუშაო პროცესზე დაკვირვება და შედეგების გაანალიზება გვაძლევს შესაძლებლობას, აღმოვაჩინოთ პრობლემა და მოვახდინოთ მისი იდენტიფიცირება.

კვლევის მიზანი: დაწყებით საფეხურზე კრიტიკული კითხვის შემაფერხებელი მიზეზების დადგენა, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნა და შედეგების გასაუმჯობესებელი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანები: კრიტიკული კითხვის უნარების განვითარების შემაფერხებელი პრობლემების გამოვლენა, მასწავლებლის დახმარება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგოს მიდგომები მოსწავლის კრიტიკული კითხვის გასაუმჯობესებლად; კვლევის ამოცანაა, აგრეთვე, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: განაპირობებს თუ არა ერთფეროვანი გაკვეთილები კრიტიკული კითხვის უნარების განვითარების შეფერხებას? რა სირთულეებს ხვდებიან მოსწავლეები კითხვისას? როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კრიტიკული კითხვის გაუმჯობესებაში? რა როლი ენიჭება გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებს მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებაში?

კვლევის მეთოდები: ინტერვიუ, ანკეტური გამოკითხვა, წყაროების ანალიზი, სასწავლო პროცესზე დავირვება, ინტერნეტრესურსების მოძიება, დახარისხება და გამოყენება.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, 7 პარაგრაფის, დასკვნისა და ლიტერატურის დასახელებისაგან. პირველ თავში - „კითხულობენ, მაგრამ გაგება უჭირთ“ - განხილულია წყაროები და სახელმძღანელოები, რომელიც ნათლად ასახავს კრიტიკული კითხვის სწავლების პრობლემას სხვადასხვა საფეხურზე. ასევე განხილულია ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების ფაქტორები და წინაპირობა.

მეორე თავში - „ანალიტიკური აზროვნების განვითარება“ - საუბარია ანალიტიკურ/კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებაზე. საკლასო გარემოს შექმნაზე; შემოთავაზებულია გაგება-გააზრების ეფექტური სტრატეგიები და მეთოდები, ასევე საუბარია ელექტრონული რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში და დიფერენცირებული სწავლების უპირატესობაზე.

ბოლოს კი მოცემულია ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია გააზრებული კითხვის უნარების სრულყოფისათვის, დასკვნები გაკეთებულია არსებული ინფორმაციისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე და მოიცავს ყველა იმ საკითხსა და პრობლემას, რომელზეც საუბარი არის აღნიშნულ ნაშრომში.

I თავი. კითხულობენ, მაგრამ გაგება უჭირთ

§1. არსებული ვითარების ანალიზი, კვლევები, სახელმძღვანელოები, წყაროები

1940-50-იანი წლებიდან მკვლევარები და პედაგოგები აქტიურად მსჯელობენ განათლებაში კრიტიკული აზროვნების როლზე. ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ კრიტიკული აზროვნება გაკვეთილზე სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულ კომპონენტს წარმოადგენს. მასწავლებელს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერის აქტივობებად „გადაქცევა“.

ამ მხრივ მაია ფირჩხაძის სტატია „კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ტექნოლოგია და სტრატეგია“ გულისხმობს ისეთი ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში, რომელიც განავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. ამგვარ ტექნოლოგიებს შორის გამოიკვეთება კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით. ეს მოდელი მოიცავს სამ სტადიას: გამოწვევა, გააზრება და რეფლექსია. ამავე სტატიაში საუბარია კრიტიკული აზროვნების განვითარების სხვადასხვა სტრატეგიაზე, რომელთა გამოყენება წარმატებით შეგვიძლია „კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით“ ტექნოლოგიის დროსაც. მაგალითისთვის სტრატეგია- „იდეების, ცნებების, სახელების, კალათას“ გამოყენება (იგივეა, რაც „გონებრივი იერიში“).

ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებისათვის არსებობს რამდენიმე წინაპირობა და ეტაპი, რომელთა გათვალისწინება და მათ განვითარებაზე მუშაობა აუცილებელია.

ქეთევან გოჩიტაშვილის სტატიაში ყურადღება გამახვილებულია, თუ როგორი უნდა იყოს კრიტიკულად/ანალიტიკურად მოაზროვნე:

- იცის, რა უნდა ისწავლოს, როგორ უნდა ისწავლოს და როგორ გამოიყენოს მიღებული ცოდნა;
- აქვს მაღალი მოტივაცია;

- არ არის ორიენტირებული მხოლოდ ინფორმაციის დაგროვებაზე;
- არის აქტიური შემსწავლელი;
- შეუძლია საკუთარი მოსაზრებების სწორად ფორმულირება;
- არის დამოუკიდებელი, ობიექტური და არა მიკერძოებული.

ასევე საყურადღებოა კრიტიკული აზროვნების, როგორც აქტიური პროცესის განვითარება. ეს პროცესი მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიებით, მისი დახარისხებითა და რანჟირებით, ხოლო საბოლოო ეტაპი არის მოძიებული და მიღებული ინფორმაციის ანალიტიკურად დამუშავება, დასკვნების გაკეთება, განზოგადება და კომუნიკაციაში ჩართვა. კრიტიკული აზროვნების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია კრიტიკული კითხვა, შეკითხვა, შეფასება, ანალიზი და საბოლოოდ წერილობითი ტექსტის შედგენა ანუ ანალიტიკური წერა.

ამავე სტატიაში მნიშვნელოვანია კრიტიკული კითხვის პროცესიც. ანალიტიკური/კრიტიკული კითხვა არის განსაკუთრებული უნარი, რომლის გამომუშავებასაც გარკვეული მომზადება სჭირდება. კრიტიკული კითხვა გულისხმობს წაკითხული ტექსტის თქვენეულ შეფასებას ობიექტურ მონაცემებსა და ანალიზზე დაყრდნობით. ავტორი გვიყალიბებს, რომ კრიტიკული კითხვის პროცესი მოიცავს 4 ეტაპს:

- კითხვის მოსამზადებელი ეტაპი;
- ტექსტის შინაარსისა და მიზნების მიმოხილვა;
- ტექსტის დამუშავება / შენიშვნები;
- მიმოხილვა: ორგანიზება, ანალიზი, შეფასება და მკითხველის რეაქციები.

მედიაწიგნიერების სახელმძღვანელოს მიზანია ახალგაზრდები ჩამოყალიბდნენ კრიტიკულად მოაზროვნენი, რათა შეძლონ იმის ინტერპრეტაცია და გააზრება, რასაც ხედავენ, კითხულობენ და ისმენენ. ამ სახელმძღვანელოში გაწერილია კრიტიკულ კითხვასთან დაკავშირებული სტატიები, რომელსაც მონაწილეები განიხილავენ. თითოეული ჯგუფი სტატიას ძირითადი მიმართულებებით აანალიზებენ და ბოლოს აჯამებენ საკუთარი ანალიზის შედეგებს.

სოფიკო ცხელიშვილის პრაქტიკის კვლევის ანგარიშში თემაზე „კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევათა გაუმჯობესება საშუალო საფეხურზე“, საუბარია კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, გამომწვევ

მიზეზებსა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. კონკრეტულად აღწერილია ის პრობლემა, რომლის დაძლევაც გაუჭირდათ მოსწავლეებს „აბო თბილელის წამების“ განხილვის დროს.

მანანა კაკაურიძის კვლევის ანგარიში თემაზე „წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. ავტორის მთავარი მიზანია, როგორ გაუუმჯობესოს მოსწავლეებს ტექსტის კითხვისას გაგება-გააზრების უნარი. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია მოსწავლეებს გავუმდიდროთ ლექსიკური მარაგი, ვასწავლოთ გაწაფული კითხვა, ავუმაღლოთ მოტივაცია, ვასწავლოთ გაგება-გააზრების სტრატეგიები და გავზარდოთ მშობელთა ჩართულობა.

ამავე სტატიაში განხილულია კითხვის დონეები, რომელთაგან ერთ-ერთია კრიტიკული კითხვა. ეს ის დონეა, როცა მკითხველს წაკითხულის გააზრებასთან ერთად მისი შეფასებაც შეუძლია, მაგ: შეუძლია აზრი გამოთქვას ავტორის მიზნის, ჩანაფიქრის, სტილის, იდეისა თუ თვალთახედვის შესახებ. აგრეთვე, შეუძლია წაკითხული ტექსტის, სხვა ავტორების იდეებთან შედარება და ძირითადი აზრის გამოკვეთა. (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, ,,კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 214).

მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მასწავლებელმა მოსწავლეები სხვადასხვა დონის შეკითხვების დასმითა და მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით უნდა ჩართოს საგაკვეთილო პროცესში. ამგვარად წარმართული საგაკვეთილო პროცესი იწვევს მოსწავლის აზროვნების აქტივაციას. კერძოდ, მასწავლებელს შეუძლია შეკითხვების დასმით ჩართოს მოსწავლე ისეთ სააზროვნო მოქმედებებში, როგორიცაა გაგება, შეპირისპირება, არგუმენტის ჩამოყალიბება და ა.შ. („როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გვ. 12).

„ეფექტიანი სწავლება - თეორია და პრაქტიკა, დამხმარე სახელმძღვანელოა, რომელშიც საუბარია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. კრიტიკული აზროვნების განვითარებისას, მნიშვნელოვანია მასწავლებელი იყოს კრიტიკულად მოაზროვნე. მასწავლებელმა ისეთი სასწავლო გარემო უნდა შეუქმნას

მოსწავლეებს, რომ მოტივაცია გაუღვიძოს. ასევე კრიტიკული აზროვნების სწავლებისას უნდა ეყრდნობოდეს ბლუმის ტაქსონომიას.

§2. ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების ფაქტორები და წინაპირობა

ანალიტიკური აზროვნება გულისხმობს არა ფაქტების, არსებული რეალობის უპირობოდ მიღებას, არამედ მის ობიექტურ არგუმენტირებულ შეფასებას. შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- **რაციონალური მიდგომა:**

ნებისმიერი ფაქტი ან მოვლენა უნდა შევაფასოთ გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გათვალისწინებით რაციონალურ და არა ემოციურ დონეზე. უნდა მოვძებნოთ ნათელი დამამტკიცებელი საბუთები და უარვყოთ ცრუ დებულებები. უნდა ვეძებოთ საუკეთესო ახსნა, მიდგომა, რათა გავაკეთოთ სწორი ანალიზი და შესაბამისად, მართებული დასკვნები. ამავე დროს, უნდა დავსვათ ლოგიკური, ადეკვატური შეკითხვები საკითხის ირგვლივ.

- **გააზრება:**

ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის, ფაქტებისა და მოვლენების შეფასებისას აუცილებელია განვსაზღვროთ ამა თუ იმ ქმედების წინაპირობები, მოტივაცია და გავიაზროთ კონკრეტული, ხელშესახები და მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენა ამა თუ იმ შეხედულებების ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებრივი პროცესების მიმდინარეობაზე, ფაქტებზე, პრობლემებზე და ა. შ.

- **კეთილსინდისიერი დამოკიდებულება:**

ჩვენ ვაზროვნებთ ანალიტიკურად, ამიტომ შეფასებები უნდა ეფუძნებოდეს არა ემოციურ, ექსპრესიულ დამოკიდებულებასა და განცდებს, არამედ ობიექტურ, არგუმენტირებულ მსჯელობას.

- **ფართო თვალსაწიერი:**

ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება არ გულისხმობს ფაქტების/მოვლენების მხოლოდ დადებითი ან უარყოფითი ელემენტების გამოვლენას. იგი მოიცავს შეფასების პროცესს, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის ჩათვლით, მთელ სისტემას, აგებულს ლოგიკურ მსჯელობაზე. კრიტიკულ მოაზროვნეებს არ ეშინიათ სირთულეებისა და კონკრეტული არგუმენტების ნაკლებობისა. პირიქით, ეძებენ

არგუმენტებს და მზად არიან დახვეწონ თავიანთი ცოდნა და გაიფართოვონ თვალსაწიერი.

ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებისათვის არსებობს რამდენიმე წინაპირობა და ეტაპი, რომელთა გათვალისწინება და მათ განვითარებაზე მუშაობა აუცილებელია. გთავაზობთ ზოგად სქემას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა ამ აქტიური პროცესის განმაპირობებელ აუცილებელ ფაქტორებზე:

- ინფორმაციის მოძიება;
- ინფორმაციის მიღება;
- მასზე დაკვირვება;
- ინფორმაციის დახარისხება, რანჟირება;
- პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის განსაზღვრა;
- ტექსტში ღიად, ცხადად, ზედაპირზე მოცემული ინფორმაციისა და დაფარული, ქვეტექსტური ინფორმაციის გამოვლენა, განსაზღვრა, გამიჯვნა;
- შეფასება და გაცხრილვა;
- ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა;
- სანდოობის ხარისხის განსაზღვრა;
- ეჭვებისა და ვარაუდების გამოთქმა;
- არგუმენტირება - გამოთქმული იდეების მხარდაჭერა;
- კრიტიკა - მოყვანილი არგუმენტების უარყოფა;
- შედარება სხვა მოვლენებთან, ფაქტებთან;
- დასკვნის გამოტანა.

ანალიტიკური/კრიტიკული კითხვის უნარის განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის შესაძლებლობას გაიუმჯობესოს ინტელექტუალური თუ ყოფითი აზროვნება. კრიტიკული კითხვა, როგორც სწავლების პრაქტიკული მეთოდი ტექსტის დამუშავებისას მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას იძლევა. ეს პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. **კითხვის მოსამზადებელი ეტაპი.**

კითხვის დაწყებამდე აუცილებელია განვსაზღვროთ ჩვენი კონკრეტული მიზნები. კონკრეტული მოტივაციიდან გამომდინარე, წიგნი შეიძლება წავიკითხოთ სხვადასხვა დანიშნულებით:

- ვკითხულობთ მხოლოდ ინფორმაციის მიღებისათვის ან გასართობად;
- გვაინტერესებს ტექსტის ძირითადი იდეები;
- გვსურს ცოდნის გარკვეული სფეროს სრულყოფა;
- დეტალურად ვაანალიზებთ ტექსტს ან ვადარებთ მას სხვა ინფორმაციას.

მაგალითად, როდესაც ვეცნობით სარეკლამო ტექსტს, ყვითელ პრესას ან სათავგადასავლო რომანს, ბუნებრივია, გვაინტერესებს მხოლოდ ინფორმაცია და გართობა, ხოლო როდესაც ვკითხულობთ სამეცნიერო ან სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომს, ესეს და ა. შ. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტექსტის ძირითადი იდეა, ცოდნის შევსება. ლიტერატურული ნაწარმოების კითხვისას ტექსტის ანალიზისა და მსჯელობის აგების საშუალება გვეძლევა. ამდენად, როდესაც ვიღებთ წერილობით ტექსტს, წინასწარ უნდა გავიაზროთ მისი დანიშნულება, ჩვენი მიზანი და ამის შესაბამისად დავამუშავოთ იგი.

2. ტექსტის შინაარსისა და მიზნების მიმოხილვა.

- ტექსტის შინაარსის განხილვისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მივაქციოთ სათაურს. უნდა გავიაზროთ, თუ რა ინფორმაციას იძლევა იგი და, აქედან გამომდინარე, რა ტიპის ტექსტთან შეიძლება გვქონდეს საქმე.

- შემდეგ ეტაპზე ვეცადოთ, ვუპასუხოთ ტექსტის ანალიზისათვის მნიშვნელოვან, აუცილებელ და, ამავე დროს, მარტივ შეკითხვებს: როდის და სად ხდება მოქმედება? ვინ არის მთავარი მოქმედი პირი? რატომ, რის გამო და რა მიზნით ვითარდება ესა თუ ის მოვლენა ან პროცესი? რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?

- გამოკვეთილია თუ არა ტექსტის ძირითადი ნაწილი და მისი შემადგენელი ნაწილები? რას ეხება თითეული მათგანი? რა მიზანს ისახავს ავტორი თითოეულ ნაწილში თითეული იდეის განვითარებისას?

- არის თუ არა საკვანძო სიტყვები და ფრაზები გამოკვეთილი ტექსტში? ამახვილებს თუ არა ავტორი შეგნებულად ყურადღებას ძირითად სათქმელზე?

- მეორდება თუ არა ხშირად, თუნდაც სხვადასხვა ვარიაციით, ავტორების, მოქმედი გმირების, სიტუაციებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ან შედეგების ნათლად და ხელშესახებად აღწერა ინფორმაციის უკეთ აღქმის მიზნით?

3. ტექსტის დამუშავება/შენიშვნები.

ტექსტის ანალიტიკური/კრიტიკული კითხვისას რამდენიმე არსებით ფაქტორზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება:

- გამოვკვეთოთ ავტორის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხედულებები და მოსაზრებები;
- გავიაზროთ, როგორ აკავშირებს ავტორი თავის მოსაზრებებს ერთმანეთთან;
- ტექსტის უკეთ გასააზრებლად ეფექტური საშუალებაა ტექსზე გარკვეული მინაწერების გაკეთება, რაც ძალიან დაგეხმარებათ შემდგომი მუშაობის პროცესში. მაგალითად: გახაზეთ ის ფრაზა, რომელიც შეიძლება თქვენი მსჯელობის მთავარი დასაყრდენი გახდეს. მიაწერეთ კიდეებზე თქვენი შენიშვნა, კომენტარი, მოსაზრება, კონტრარგუმენტი და ა. შ. მონიშნეთ ის მაგალითები და დეტალები, რომლებმაც თქვენი ყურადღება მიიქცია. შეგიძლიათ შეიმუშავოთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მონიშვნის სისტემა. მაგალითად, სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია მონიშნეთ სხვადასხვა ფერით.

4. მიმოხილვა: ორგანიზება, ანალიზი, შეფასება და მკითხველის რეაქციები.

ანალიტიკური/კრიტიკული კითხვის შემდეგი ეტაპია ტექსტის შინაარსის, სტრუქტურისა და მისი სტილის დეტალურად გააზრება და შეფასება. სწორედ ამ ეტაპზე უნდა გამოიკვეთოს და ჩამოყალიბდეს თქვენი პირადი შეხედულება ავტორის მიზანზე და შეფასდეს, თუ რამდენად მიაღწია მას ინფორმაციის გადმოცემისას. შეფასებას ხშირად იწყებენ იმის აღნიშვნით, თუ რამდენად სწორად და ნათლად არის მოხმობილი და წარმოდგენილი არგუმენტები. შემდეგ უნდა განვიხილოთ ის ხერხები, რომელთა მეშვეობითაცაა განვრცობილი ავტორის მოსაზრებები. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ავტორისეული სტილის შეფასება.

II. თავი. ანალიტიკური აზროვნების განვითარება

§1. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის აღზრდისათვის საჭირო მიდგომები.

კრიტიკული აზროვნება აქტუალური თემაა თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება განათლების სისიტემის პრიორიტეტია. საგნობრივი ცოდნის გარდა, განათლება მოსწავლეებში უნდა ავითარებდეს კრიტიკულ აზროვნებასაც. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების აღზრდა არა მარტო ამ ადამიანების წარმატებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ, ზოგადად, საზოგადოების და ქვეყნის წარმატებისთვისაც. გთავაზობთ სქემას, თუ როგორი უნდა იყოს კრიტიკულად მოაზროვნე:

კრიტიკული აზროვნება მოვლენების, ფაქტების, იდეების საკუთარი ძალებით შესწავლისადმი ერთგვარი მზაობა და სურვილია. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებისათვის მიუღებელია სხვების მიერ თავს მოხვეული ღირებულებების, ნორმების, იდეების ბრმად გათავისება. მათთვის მნიშვნელოვანია საკუთარი, გააზრებული და დასაბუთებული პოზიციის ჩამოყალიბება.

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება მასწავლებლისგან გონებაგახსნილობასა და სიახლეებისათვის ღიაობას მოითხოვს. თუ თავად

მასწავლებელი არ არის კრიტიკულად მოაზროვნე, ის ვერ შეძლებს ამ უნარის განვითარებას მოსწავლეებში.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა არ მოახვიოს საკუთარი აზრები და ვარაუდები მოსწავლეებს. მასალის ახსნის დროს, ბავშვებისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ესა თუ ის ინფორმაცია შესაძლებელია არ იყოს აბსოლუტური ჭეშმარიტება. ასევე, მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს მათი საკუთარი ვარაუდების, მსჯელობის მუდმივ ანალიზშიც. მოსწავლეებს კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნება და როგორ შეიძლება მის განვითარებაზე ზრუნვა მასწავლებლისგან დამოუკიდებლად.

აზროვნების კომპლექსურობის უკეთ გაგებისა და მოსწავლეებში ამ უნარის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს ბლუმის ტაქსონომიას. ბლუმის მოდელში აზროვნების უნარის ექვსი საფეხურია გამოყოფილი. ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უფრო რთულია. მასწავლებლის მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ხელი შეეწყობა ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებული აზროვნების ყველა საფეხურის განვითარებას.

I. ცოდნის დონე - ამ დონეზე მოსწავლეთა ყურადღება ახალი ინფორმაციის აღქმაზე, მის ხშირ გამეორებასა და დამახსოვრებაზეა ორიენტირებული.

II. გაგების დონე - ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობები, მოსწავლეებისგან მიღებული ცოდნის ინტერპრეტაციას, მის ახსნას და სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს.

III. გამოყენების დონე - მოსწავლეებს ევალებათ მიღებული ცოდნის კონკრეტულ ვითარებაში პრაქტიკულად გამოყენებისათვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების მოფიქრება და რეალიზება.

IV. ანალიზის დონე - მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ტექსტის ნაწილებად დაშლა, ძირითადი და მეორეხარისხოვანი მასალის განსაზღვრა.

V. სინთეზის დონე - ამ დონეზე მომზადებული დავალება, საკლასო აქტივობა მოსწავლეებისაგან ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას მოითხოვს მათთვის უცნობი, სრულიად ახალი პროდუქტის შექმნისათვის. მოსწავლეს უნდა შეეძლოს პრობლემის გადასაჭრელად ალტერნატიული გზების მოძებნა.

VI. შეფასების დონე - ამ შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებულად დასაბუთება, დასკვნების გაკეთება, პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული გზიდან ერთ-ერთის არჩევა და მისი დასაბუთება, დასკვნის შესაბამისობას იმ მონაცემებთან, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა და სხვა. ამ დონის დავალებები მოსწავლეებისაგან მოვლენების ან ფაქტების შეფასებას, მათზე დასკვნების გამოტანას მოითხოვს ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა ხარისხი, სანდოობა, ღირებულება, პრაქტიკული მნიშვნელობა და ა.შ.

კრიტიკული აზროვნების უნარი ყველაზე მჭიდროდ ბლუმის ტაქსონომიის ყველაზე მაღალ მე-5 და მე-6 საფეხურებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მოსწავლეებს ხელი უნდა შევუწყოთ ამ საფეხურების დაძლევაში.

კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საკლასო გარემოს შექმნა. სასურველი გარემოს შექმნაში კი დაგეხმარებათ რამდენიმე კონკრეტული სტრატეგიის გაცნობა.

- აღკვეთეთ მოსწავლეთა იმპულსურობა.

იმპულსურობაში იგულისხმება მოსწავლეების მიერ გაუაზრებელი, ნაჩქარევი პასუხების გაცემის ჩვევა. ასეთი ქცევა არ უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მათი გონება ავტომატურად იხურება შესაძლო ალტერნატივებისაგან.

- წაახალისეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობა.

მოსწავლეები შეცდომის დაშვების შიშის, თუ საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გამო მიჯაჭვულები არიან მასწავლებლებზე. თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით მიმართავენ მასწავლებელს. ფაქტობრივად გაურბიან პასუხისმგებლობის აღებას და სწავლის პროცესის საკუთარი ძალებით მართვას. კრიტიკული აზროვნება ვერ განვითარდება ასეთ პირობებში, ამიტომ საჭიროა ბავშვის მასწავლებელზე მიჯაჭვულობის მიზეზის დადგენა და მისი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

- მოახდინეთ კონცენტრირება ხარისხზე და არა დროზე.

მოსწავლეთა დაჩქარება არ იძლევა კრიტიკული აზროვნების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. დროზე ორიენტირება ახალისებს ზედაპირულ მიდგომას და უბიძგებს დაუსაბუთებელი ვარაუდების გამოყენებისაკენ.

- იყავით ღია კრიტიკისათვის.

ამ შემთხვევაში დაუშვებელია მასწავლებლის მხრიდან საკუთარი პოზიციის ან ვარაუდების თავს მოხვევა მოსწავლეებისათვის და მათი სიზუსტის მტკიცება.

- წაახალისით მოსწავლეები, იზრუნეთ მათი თვითშეფასების ამაღლებაზე.

მნიშვნელოვანია, ბავშვი გრძნობდეს, რომ მასწავლებელი მას აფასებს, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებას, პატივს სცემს მის აზრს და აინტერესებს მასთან ურთიერთობა. მხოლოდ თავდაჯერებულ მოსწავლეს არ შეეშინდება იმ „უხერხული“ კითხვების დასმა, რომლებსაც კრიტიკული აზროვნების პროცესი მოითხოვს.

- შეუქმენით მოსწავლეებს კრიტიკულად აზროვნების მოტივაცია.

მასწავლებელმა უნდა გააღვივოს მოსწავლეთა ინტერესი ამ უნარის მიმართ შესაბამისი საუბრების თუ სასწავლო აქტივობების დაგეგმვით. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მცდელობების და არა მხოლოდ საბოლოო შედეგების დაფასება და წახალისება.

- გაამახვილეთ ყურადღება თვითსწავლის აუცილებლობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ თვითშეფასების, საკუთარი აზროვნების პროცესის ანალიზის მნიშვნელობა. ამისათვის, გარდა შესაბამისი საუბრებისა, სასარგებლოა პერიოდულად საკლასო აქტივობების შეჩერება და მოსწავლეთა ჩართვა მიმდინარე აზროვნების პროცესის ანალიზში.

§2. კითხვის დიფერენცირებული სწავლება.

ერთ-ერთი განმარტების მიხედვით: „დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სწავლების ტემპის, სირთულის ან მეთოდის ცვლას თითოეული მოსწავლის საჭიროების, სწავლის სტილის ან ინტერესების მიხედვით“.

დიფერენცირებული სწავლება იწყება უსაფრთხო და პროდუქტიული სასწავლო გარემოს შექმნით, სადაც თითოეულ მოსწავლეს შეუძლია იკვლიოს და ისწავლოს. ამას თან ერთვის მოსწავლის სწავლის სტილის, მზაობისა და ინტერესის მიხედვით წინასწარ მოფიქრებული სწავლების სტრატეგიების გამოყენება. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია სასწავლო მასალის შინაარსის, სწავლა-სწავლების პროცესის,

ასევე იმ საბოლოო პროდუქტის დიფერენცირება, რომელიც მოსწავლემ ნასწავლის სადემონსტრაციოდ უნდა შექმნას.

როდის გამოვიყენოთ დიფერენცირებული სწავლება? დიფერენცირებული სწავლება ემყარება მასწავლებლის რწმენას, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა. დიფერენცირებულ გაკვეთილზე სხვადასხვა სახის სტრატეგია გამოიყენება, მათ შორისაა: დამოუკიდებელი კითხვა, ასევე მცირე ჯგუფური და საერთო საკლასო დისკუსიები. დიფერენცირებული მიდგომების დროს მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მოსწავლის მოსწრების დონე. ამ მხრივ მოსწავლეები ძირითადად იყოფიან 3 დონედ: სუსტი, საშუალო და ძლიერი მოსწავლეები. ჩვეულებრივი გაკვეთილი შესაძლებელია ჩავატაროთ მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით:

I დონე – ძლიერი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, რომლებიც დამოუკიდებლად ასრულებენ რთულ სავარჯიშოებს, შეუძლიათ ცოდნის გამოყენება უცნობ სიტუაციაში და აქვთ შემოქმედებითი უნარები, გამოყოფენ საკითხიდან არსებითს, ძირითადს, კანონზომიერს, აღწევენ მაღალ შეფასებებს;

II დონე – შედარებით განვითარებული უნარის მქონე მოსწავლეები, მათ უჭირთ ერთბაშად აღიქვან საკითხის ძირითადი არსი, გამოყონ კანონზომიერებები, ამისთვის სჭირდებათ გარკვეული დრო, მაგრამ შეუძლიათ დაინახონ ზოგადში კერძო და კერძოში – ზოგადი ელემენტები. სათანადო დახმარების პირობებში ამ ჯგუფის მოსწავლეებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ I ჯგუფის მოთხოვნებსაც.

III დონე – სუსტი, არასაკმარისად მომზადებული მოსწავლეები, ანუ ისინი, რომლებიც დიდ ინტერესს არ ავლენენ საგნის მიმართ და თითქმის არ ფლობენ სასწავლო მასალასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარს. მათ არ შეუძლიათ მასალის აღქმა, წარმოსახვა, გადამუშავება, ემოციური დამოკიდებულების გამოვლენა, არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ანალიზი და შედარება. ისინი მასალას ითვისებენ მრავალჯერადი განმეორების გზით და ყოველთვის სრულად ვერ აღწევენ ამას, დავალებების შესრულებას ანდომებენ დიდ დროს.

კითხვის დიფერენცირებულად სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდია მართული კითხვა. **მართული კითხვის აქტივობა** გულისხმობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფში (ან ჯგუფებში) შესაფერისი ტექსტის

წაკითხვას და დამუშავებას კონკრეტული უნარების/სტრატეგიების დაუფლების მიზნით. მართული კითხვის აქტივობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გააანალიზოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ხოლო მოსწავლეებს ეხმარება, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითარონ კითხვის ის უნარები, რომელშიც მეტად სჭირდებათ გაწაფვა.

აქტივობის საყრდენი პრინციპები:

- მოსწავლეების დაჯგუფება საჭიროებების, უნარების, ინტერესების გათვალისწინებით;
- თითოეული ჯგუფისთვის შესაფერისი სირთულის ტექსტისა და დავალების შერჩევა;
- საჭიროების შემთხვევაში ჯგუფებისთვის მიზნობრივი დახმარების გაწევა.

მსვლელობა

- მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს კითხვაში მზაობის ან საჭიროებების გათვალისწინებით (მაგ. კითხვაში გაწაფულები, კითხვაში ხარვეზების მქონენი და გაუწაფავი მკითხველები);
- წინასწარ შეარჩევს ტექსტს ჯგუფებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ჯგუფისთვის შეირჩეს ადეკვატური სირთულის ტექსტი;
- მასწავლებელი შერჩეულ ტექსტს (ან ტექსტებს) წარუდგენს ჯგუფებს, დაუსახავს კითხვის მიზანს და აძლევს შესაბამის დავალებებს;
- მოსწავლეები ჯგუფებში დამოუკიდებლად კითხულობენ მთლიან ტექსტს ან მის გარკვეულ ნაწილს მითითებული სტრატეგიის გამოყენებით ;
- ჯგუფები ასრულებენ ტექსტთან დაკავშირებულ განსხვავებული სირთულის დავალებებს.

შენიშვნა: მართული კითხვის აქტივობის ჩატარებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კითხვის დონის შესაფერისი აქტივობის შერჩევა.

§3. ელექტრონული რესურსები წიგნიერების განვითარებისათვის.

წიგნიერების განვითარება მრავალმხრივი პროცესია და მასწავლებლის მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს. წიგნიერი გარემოს ორგანიზება, ეფექტური გაკვეთილებისა და თემატური ერთეულების წარმართვა, შესაფერისი რესურსების

მოძიება და გამოყენება სათანადო მზაობას და მუდმივ პროფესიულ ზრდას საჭიროებს.

საკუთარი სასწავლო საქმიანობის სწორად წარმართვისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი თვითშეფასებაა. იმისათვის, რომ მოსწავლეს ჰქონდეს თვითშეფასების საშუალება, საჭიროა იგი თავად ჩაერთოს საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და სწავლის პროცესის მართვაში. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ აწარმოონ საკუთარ სასწავლო აქტივობებზე ჩანაწერები, პერიოდული წერილობითი შეფასებები, რითაც მოზარდებს უვითარდებათ საქმიანობის სწორად და ეფექტურად დაგეგმვის უნარი.

თვითშეფასების მუდმივი წარმოება მოსწავლეს უყალიბებს შეცდომის მიმართ სწორ დამოკიდებულებას. ბავშვი ხვდება, რომ მხოლოდ შეცდომის გამოსწორებით არის შესაძლებელი მისი თვითგანვითარება, ცდილობს გააანალიზოს და გააცნობიეროს თავისი სასწავლო პროცესი, სისუსტეები და ძლიერი მხარეები, დასახოს ადეკვატური პრიორიტეტები, დაგეგმოს და ორგანიზება გაუკეთოს თავის დროს, მუშაობის წესებს, სასწავლო გრაფიკს.

გთავაზობთ რამდენიმე ეფექტურ მულტიმედიურ საშუალებას:

1. ინტერაქტიული პლაკატი

ესაა გამოსახულება დიდი ფორმატის ქაღალდზე სასწავლო მიზნით გამოყენებული მოკლე განმარტებითი ტექსტებით. პლაკატი თავისი არსით ინფორმაციის მიწოდებაა, მასალის დემონსტრირება.

მასალის მოცულობის შესაბამისად ირჩევენ ინტერაქტიული პლაკატის ერთ ან მრავალსაფეხურიან სქემას. ერთსაფეხურიანი პლაკატი მოიცავს სამუშაო ველს და ინტერაქტიული ელემენტების ნაკრებს. სამუშაო ველის შინაარსი იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელ ინტერაქტიულ ელემენტს ვიყენებთ: ღილაკს, ტექსტის ველს და სხვ.

სასწავლო მიზნები. ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას შემეცნებით პროცესებში, ათვალსაჩინოებს ინფორმაციას, ხელს უწყობს მაძიებელი, შემოქმედებითი პიროვნების ფორმირების პროცესს.

გამოყენების სფერო. ინტერაქტიული პლაკატი შესანიშნავი დამხმარე საშუალებაა სწავლებისა და თვითგანათლების პროცესში. იგი მოიცავს ზღვა

ინფორმაციას და წარმოგვიდგენს თვალსაჩინოდ, ეფექტური ფორმით. გამოიყენება ახალი მასალის გადაცემის, განმტკიცებისა და ათვისების ხარისხის შემოწმების პროცესში.

სასწავლო აქტივობები, ინსტრუქცია: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს:

- მოიძიე ინფორმაცია, დაახარისხე და განალაგე თემის შესაბამის სამუშაო ველზე;
- მოიძიე მითითებულ თემაზე შექმნილი ინტერაქტიული პლაკატები, შეადარე ერთმანეთს, შექმენი ახალი ილუსტრაციების, ნახატების, ანიმაციებისა და ვიდეოფრაგმენტების გამოყენებით;
- შენი შექმნილი ინტერაქტიული პლაკატი გაუზიარე მეგობრებს;
- დააკომენტარე თანაკლასელების შექმნილი პლაკატები, გამოთქვი მოსაზრება, შეაფასე.

პროგრამული უზრუნველყოფა: Gloster, Cacoo, thing link, canva, Microsoft PowerPoint

2. პოსტერი

პოსტერი შეიცავს როგორც ტექსტურ, ასევე გრაფიკულ გამოსახულებას. პოსტერის მიზანია საზოგადოების ინფორმირება.

სასწავლო მიზნები: პოსტერის შექმნა მოსწავლეებს ინფორმაციის დახარისხების, მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, შეჯამების, დასკვნის გამოტანის უნარებს განუვითარებს.

გამოყენების სფერო: პოსტერი ერთ-ერთი პოპულარული ფორმაა საგანმანათლებლო მიზნით მომზადებული საკონფერენციო თემის (მაგალითად, განხორციელებული პროექტის, კვლევის, გამოყენებული ეფექტური მეთოდის) პრეზენტაციისთვის.

როგორ შექმნათ პოსტერი? მისი მომზადება შეიძლება power-point -ში; FILE მენიუ; შემდეგ-New; საძიებო ველში ჩაწერეთ-poster. იხილეთ მზა პოსტერის შაბლონები. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი; აგრეთვე ეფექტური პოსტერის შექმნა

შეგიძლიათ Photoshop-ის გამოყენებით. მომზადებულ პოსტერს ინახავენ სურათის სახით, შესაძლებელია მისი დაბეჭდვა.

მეთოდური რეკომენდაციები: პოსტერი უნდა იყოს მესიჯი აუდიტორიისთვის (რისი თქმაც უნდა ავტორს). სტენდური პრეზენტაცია პოსტერის ფორმატით საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება მეტმა დაინტერესებულმა ადამიანმა გაიგოს თქვენი მოსაზრებები და ჩაერთონ დისკუსიაში. პოსტერის პრეზენტაციის დროს ეფექტურია დასარიგებელი მასალის მომზადება, მაგალითად, ბუკლეტების ან დისკების სახით.

გამოყენების ინსტრუქცია:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:

- შექმნან თემატური პოსტერი ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.
- შეავსონ პოსტერი, დაამატონ დეტალები
- პოსტერის მიხედვით შექმნან მოთხრობა, ამბავი
- დაიტანონ პოსტერზე იდეები
- გაითვალისწინონ პოსტერზე გადმოცემული რეკომენდაციები

ინტერაქტიული სავარჯიშოების კონსტრუქტორი

Learning Apps ელექტრონული ონლაინრესურსის შექმნის შესანიშნავი პლატფორმაა. ესაა ონლაინკონსტრუქტორი, რომლით სარგებლობა შეუძლია ინტერნეტმომხმარებელს სრულიად უფასოდ.

სასწავლო აქტივობები Learning Apps-ის გამოყენებით:

- არჩევითპასუხიანი ტესტი _ თამაში „ვის უნდა ოცი ათასი“
- აირჩიე და შეავსეთ გამოტოვებული სიტყვა ტექსტში
- აირჩიე შესაბამისობა სურათს, ვიდეოს, აუდიოსა და განმარტებებს შორის
- ამოიცანი სიტყვა და გახსენი ფონი
- შეავსე შესაბამისობის ცხრილი
- იპოვე რუკაზე ნიშნულების მიხედვით
- ამოიცანი, ააწყვე პაზლი
- დაალაგე სწორი თანმიმდევრობით ტექსტი, გამოსახულება, აუდიო და ვიდეომასალა
- განალაგე დროის ხაზზე

- ამოიცანი პასუხი კითხვაზე და ჩაწერე
- „სახრჩობელა“ - აკრიბე სიტყვა, არ დაუშვა ზღვრულ ნორმაზე მეტი შეცდომა
- შეავსე კროსვორდი
- აჯობე მეტოქეებს, გაიმარჯვე ვიქტორინაში
- „დოღი“ - მინიმალური შეცდომებით მიაღწიე მიზანს
- შექმენი დიაგრამა, დააკავშირე
- შექმენი დღიური ჩანაწერებისთვის
- შემოთავაზებულ ონლაინსივრცეში იმუშავე ერთობლივად, თანაკლასელებთან ერთად
- ხმა მიეცი საუკეთესოს

საიტზე დარეგისტრირებულ მომხრმარებელს შეუძლია შექმნას სასწავლო რესურსი და მისაწვდომი გახადოს მისთვის სასურველი პირისთვის ბმულის ან კოდის მითითებით. გარდა ამისა, აქ შეგვიძლია გავიზიაროთ ძალიან მდიდარი გამოცდილება, უკვე შექმნილი რესურსები. შეგვიძლია შევქმნათ კლასები, შევთავაზოთ მათ განსაზღვრული დავალებები და თვალყური ვადევნოთ მათ შედეგებს. კლასისთვის განკუთვნილ სასწავლო მასალებს ავსებენ მონაწილეები თავიანთი რესურსებით.

ეს სახალისო სავარჯიშოები ხელსაყრელია ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგზე გასასვლელად, მოსწავლე მოტივირებულია, მზადაა სიახლეების მიღებისათვის, ამოწმებს საკუთარ შესაძლებლობებს, ირჩევს ხელსაყრელ აქტივობას, უვითარდება უწყვეტი სწავლის უნარი, არ არის შეზღუდული დროში და თავად ირჩევს ხელსაყრელ დროსა და გარემოებას აქტივობის შესასრულებლად.

§4. კვლევა - მონაცემთა ანალიზი

მოსწავლეთა სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ გადამაწყვეტინა საკვლევ თემად ამერჩია: „კრიტიკული კითხვა, როგორც ტექსტზე მუშაობის მეთოდი სკოლაში“.


1.როგორ გესმის ტერმინი კრიტიკული კითხვა?
ნაწილობრივ ერკვევა
არ იცის
სრულად სცემს პასუხს
27%
13%
60%


2. შენი აზრით, აუცილებელი უნარია კრიტიკული აზროვნება, რომელიც უნდა გქონდეს?
დიახ
არა
25%
75%


3. როგორ ფიქრობ რაში გეხმარება კრიტიკული აზროვნება?
9%
10%
23%
58%
არსებული პრობლემის გადაჭრაში მეხმარება
ეფექტურ კომუნიკაციაში მეხმარება
თავდაჯერებულობას მმატებს
არც თუ ისე დიდ დახმარებას მიწევს


4.რომელი მეთოდით დაგეგმილი გაკვეთილები მოგწონთ?
დისკუსია
კითხვა-პასუხი
ტესტი
თხრობა
და სხვა
7%
8%
9%
55%
21%



საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასადგენად ინტერვიუ ჩავწერე საკვლევი კლასის რამდენიმე მასწავლებელთან. ჩემთვის საინტერესო იყო, გამეგო, ჰქონდათ თუ არა საკვლევი კლასის მოსწავლეებს მათ საგანში წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემა. თუ ჰქონდათ, რას უკავშირებდნენ მასწავლებლები აღნიშნული პრობლემის არსებობას და როგორ ართმევდნენ თავს მასწავლებლები ამ პრობლემას გაკვეთილზე.

გთავაზობთ ინტერვიუს კითხვარს და პასუხებს:

1. **რა პრობლემებს აწყდებით საგაკვეთილო პროცესში?**

- ხშირად ვაწყდები მოსწავლეთა ნაკლებ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში და მოტივაციის არქონას. ეს უფრო შესამჩნევია ბოლო გაკვეთილებზე, ალბათ მათი დაღლილობიდან გამომდინარე. ცდილობენ ისაუბრონ ისეთ თემებზე, რაც გაკვეთილს თემას არ ეხება და თავი აარიდონ დავალებების შესრულებას.

2. **რაოდენ მნიშვნელოვანია თქვენი საგნის სწავლებისას ტექსტის გაგება-გააზრების უნარი?**

- ტექსტის გაგება-გააზრების უნარი მეტად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში, რადგან შედეგზე ორიენტირებული სწავლა მოითხოვს ტექსტის სიღრმისეულ ცოდნას.

3. **რა მეთოდს იყენებთ პრობლემური საკითხის განხილვისას?**

- ვცდილობ ისეთი ინტარაქტიული დავალებები მივცე, რაც მათ ინტერესს გამოიწვევს და არ მისცემთ მოდუნების საშუალებას, პირიქით გაზრდის მათ მოტივაციას მაგ: გუნდებს შორის შეჯიბრი, ვიქტორინა, პერსონაჟების განსახიერება და სხვა.

4. **თქვენი აზრით, რა აფერხებს მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების უნარს?**

- ტექსტის გაგება-გააზრებას აფერხებს, მწირი ლექსიკური მარაგი, წიგნთან სიღრმისეული მუშაობა და ეფექტური სტრატეგიების ნაკლებად გამოყენება.

5. **როგორ ფიქრობთ, რამდენად აუცილებელია მოსწავლეებში კრიტიკულ/ანალიტიკური აზროვნების განვითარება?**

- რათქმაუნდა აუცილებელია მოსწავლეებში კრიტიკული/ანალიტიკური აზროვნების განვითარება, ვინაიდან XXI საუკუნის ადამიანისათვის ის, უბრალოდ, სასიცოცხლოდ აუცილებელია. მრავალრიცხოვანი ფაქტები ჩვენი რეალობიდან ადასტურებს, რომ სწავლების ისეთი ფორმების არსებობა, რომლებიც დაეხმარება ადამიანს, უფრო პროდუქტიულად იაზროვნოს, დღევანდელობის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

6. **რა სტრატეგიებს იყენებთ კრიტიკული კითხვის განსავითარებლად?**

- ვიყენებ გრაფიკულ სქემებს. გრაფიკული სქემა, როგორც წესი, წარმოსახვის ორივე ფორმას გულისხმობს - ლინგვისტურს და არალინგვისტურს. ამ სქემების გამოყენებით მოსწავლეები ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას, შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას, ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას, სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას. ვიყენებ ასევე კომენტირებულ კითხვას ტექსტის თითოეული აბზაცის განხილვით.

7. **როგორ ფიქრობთ, არის თუ არა კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების დეფიციტი?**

- სამწუხაროდ დღეს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების დეფიციტია, რაც აისახება მოსწავლეთა შედეგებში. აუცილებელია ამ პრობლემის სწორად დანახვა და მის აღმოსაფხვრელად გარკვეული ღონისძიებების გატარება.

8. **როგორ შეიძლება მოვაგვაროთ ეს პრობლემა?**

- პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და აქტივობების დაგეგმვა. მოსწავლეთა მოტივაციის გამოწვევა და კრიტიკულად ტექსტის შეფასებაზე მუშაობა.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემის სიცხადე. კერძოდ, მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ მოსწავლეებს მათ საგნებშიც უმეტესად უჭირთ წაკითხული ტექსტისა თუ დავალების პირობის სათანადოდ გაგება-გააზრება, შესაბამისად, უჭირთ ისეთ დავალებების შესრულება, რომლებიც გაგება-გააზრებას მოითხოვს მათგან. ამიტომ დაქვეითებული აქვთ მოტივაცია, აკადემიური მოსწრება და, შესაბამისად, წიგნიერების დონეც.

მასწავლებლები თვლიან, რომ გაგება-გააზრების უნარის შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება იყოს როგორც ყურადღების დეფიციტი, ნაკლებად განვითარებული ანალიტიკური აზროვნება, ასევე ის, რომ მოსწავლეები არ ფლობენ სხვადასხვა ტიპის ტექსტზე მუშაობის მეთოდებს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი მოსწავლეებთან ნაკლებად იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც დაეხმარება მათ სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრებაში.

წაკითხულის გააზრების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ვასწავლოთ საკუთარი **კითხვის პროცესის კონტროლი.** წაკითხულის გააზრებას ხელს შეუწყობს, თუკი მოსწავლე კითხვის დროს ყურადღებით დააკვირდება, რისი გაგება გაუჭირდა და მყისიერად გამოიყენებს შესაბამის სტრატეგიას ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს, რა სტრატეგიები არსებობს საკუთარი კითხვის პროცესის გასაკონტროლებლად.

მოსწავლეები უნდა დაეუფლონ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ კითხვის დროს დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირებას. ასეთი სტრატეგიებია, მაგალითად: ყველა უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეულის დაფიქსირება, კითხვის პროცესში ტექსტში ასახული მოვლენების, ფაქტების წარმოსახვაში გაცოცხლება. თითოეული აბზაცის ან შინაარსობრივად დასრულებული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მცირე პაუზის გაკეთება და წაკითხულის შეჯამება; საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა წაკითხულის შესახებ.

წაკითხულის გააზრებისთვის მნიშვნელოვანია **წაკითხულის შეჯამების** უნარის გამომუშავებაზე ზრუნვაც. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, როგორ შეაჯამონ წაკითხული ტექსტი. მაგალითად, ჯერ ვასწავლოთ ტექსტის შედარებით მცირე მონაკვეთების შეჯამება და შემდეგ ეტაპობრივად გავზარდოთ მოცულობა.

ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა ისწავლონ **კითხვის დასმა** წაკითხულის შესახებ და, ამასთანავე, მასწავლებლის მიერ **დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.**

თუკი მოსწავლეები ისწავლიან, როგორ და რა სახის კითხვები დასვან კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და მისი დასრულების შემდეგ, ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ინტერესს ტექსტის მიმართ და საშუალებას მისცემს, უფრო ღრმად გაიაზრონ იგი.

მოტივაცია წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. მოტივირებულ მოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგად ეუფლება და თავისუფლად იყენებს კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს და, შესაბამისად, კარგად გაიაზრებს წაკითხულს. ჩამორჩენილი მკითხველების პრობლემა კი სწორედ მოტივაციის ნაკლებობაა. ამის გამო მათ ნაკლებად აქვთ გამომუშავებული გააზრებული კითხვის უნარი, ვერ ფლობენ კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს, აქვთ მწირი ლექიკური მარაგი, რაც ხელს უშლით მათ, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული ტექსტი. (ირინა სამსონია ,,წიგნიერება“, მასწავლებლის სახელმძღვანელო, 2013; გვ. 36).

კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად კითხვის ზოგიერთი სპეციალისტი გამოყოფს ოთხ უმთავრეს მიდგომას. ესენია:

1. კითხვის მიზნის განსაზღვრა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით;
2. მოსწავლეთა არჩევანის პატივისცემა;
3. საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა;
4. მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის (მოსწავლეთა სოციალიზაციის) წახალისება.

წაკითხვისა და გააზრების პროცესები მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული და ერთდროულად მიმდინარეობს. ამ ორ დიდ კომპონენტს შორის განსხვავებას გაწაფული მკითხველები ვერ ვგრძნობთ და კითხვა ერთიანი, განუყოფელი პროცესი გვგონია. პატარა მკითხველებისთვის კი სიტყვების ამოკითხვასა და ტექსტის

გააზრებას შორის კავშირი ასეთივე მკაფიო და თავისთავადი სულაც არ არის. მათი ძალისხმევა ძირითადად დეკოდირების პროცესზეა მიმართული. ამიტომ, სანამ სიტყვების ამოცნობაში გაიწაფებიან, გააზრებისა და ინტერპრეტაციისათვის ნაკლები ენერგია რჩებათ (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, ,,კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)", 2015 წ; გვ. 211)

წაკითხულის გააზრება სამ სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელი: **ა)სიტყვასიტყვით გაგების დონეზე**, **ბ) ანალიზისა და დასკვნის გამოტანის (ჩაწვდომის) დონეზე, გ) კრიტიკული შეფასების დონეზე**. შესაბამისად, მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტის მრავალმხრივი ინტერპრეტაცია, რაც მოითხოვს:

- ნაცნობი სიტყვების ავტომატურად ამოცნობას და მათი მნიშვნელობის გახსენებას;
- უცნობი სიტყვების სწარაფად დეკოდირებას;
- კონტექსტური მნიშვნელობების/გასაღებების ამოცნობას და გამოყენებას;
- წინადადებებში გადმოცემული აზრების ერთმანეთთან დაკავშირებას;
- ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის დაკავშირებას საკუთარ გამოცდილებასთან;

ზოგიერთი მოსწავლე გარკვეულ სირთულეებს აწყდება წაკითხულის გააზრებაში, ამიტომ საჭიროა გამოვარკვიოთ ამ სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები, რათა შევიმუშაოთ სწორი სტრატეგიები/მიდგომები და გამოვიყენოთ შესაბამისი მეთოდები მათ აღმოსაფხვრელად.

მეთოდურ ლიტერატურაში ჩვენ ვეცნობით, რომ ,,პირველი საბაზისო დონეა **სიტყვასიტყვით აზრის გაგება.** ამ დონეზე მკითხველს შეუძლია წაკითხული ტექსტიდან ფაქტობრივი ინფორმაციის ამოღება (სად ხდება მოქმედება, რა ჰქვია მთავარ გმირს, რა პროფესიისაა და ა. შ.).

ანალიტიკური კითხვის დონეზე მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, მაგ: პერსონაჟი დაახასიათოს მისი მეტყველების და ქცევის მიხედვით. ამ დროს, გარდა იმისა, რომ მკითხველი აკეთებს დასკვნებს, შეუძლია ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შემდგომი მოვლენებიც ივარაუდოს. კარგი მკითხველები ცდილობენ გამოკვეთონ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები, გამოიტანონ დასკვნები მათი

მიზეზებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. ეს აუცილებელი უნარებია ტექსტის გასააზრებლად.

კრიტიკული კითხვა კი ის დონეა, როცა მკითხველს წაკითხულის გააზრებასთან ერთად მისი შეფასებაც შეუძლია, მაგ: შეუძლია აზრი გამოთქვას ავტორის მიზნის, ჩანაფიქრის, სტილის, იდეისა თუ თვალთახედვის შესახებ. აგრეთვე, შეუძლია წაკითხული ტექსტის ძირითადი აზრის გამოკვეთა, მისი სხვა ავტორების იდეებთან შედარება და საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა“ (სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, ,,კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I -VI კლასებში)“, 2015 წ; გვ. 214).

კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვებისათვის გამოვიყენე თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: ინტერვიუ და ანკეტირება.

§5. სტრატეგიები ტექსტის გაგება-გააზრებისთვის. ტექსტზე მუშაობის ფორმები.

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება ერთგვარი წინაპირობაა წიგნიერებისა და, ზოგადად, წარმატების მიღწევისა საგანმანათლებლო სივრცეში. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტექსტების კითხვასთან ერთად გაგება-გააზრებაც თავისთავად გაღრმავდება. სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება. გააზრების უნარ-ჩვევებს/სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება.

გაგება-გააზრების სტრატეგია არის ნაბიჯების განსაზღვრული თანმიმდევრობა, ანუ პროცედურა, რომელსაც კარგი მკითხველები მიზნობრივად და შეგნებულად იყენებენ ტექსტიდან აზრის გამოსატანად. გაგება-გააზრების სტრატეგიების სწავლება ეხმარება მოსწავლეს, ჩამოყალიბდეს აქტიურ, მიზანზე ორიენტირებულ მკითხველად, რომელიც კითხვის დროს აკონტროლებს იმას, თუ რა და როგორ გაიგო.

განვიხილოთ ძირითადი სტრატეგიები, რომლებიც ტექსტის გაგება-გააზრებას საგრძნობლად აუმჯობესებს.

1. **დაფიქრდი, დაწყვილდი, გაუზიარე**

მეთოდის შესახებ

„დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე“ არის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაუზიაროს ის სხვებს. იგი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც:

- ავითარებს მოსწავლეთა ზეპირმეტყველებას, კომუნიკაციას, შეჯამებისა და დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევებს;
- აყალიბებს ანალიტიკურ აზროვნებას;
- აჩვევს მოსწავლეებს სხვათა აზრის პატივისცემას, მოსმენასა და თანამშრომლობას;
- განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

მეთოდი სამსაფეხურიანია და თითოეულ საფეხურზე კონკრეტულად არის განსაზღვრული მოსწავლეთა საქმიანობა:

I. დაფიქრდი - მოსწავლეები ინდივიდუალურად ფიქრობენ დასმულ შეკითხვაზე;

II. დაწყვილდი - მოსწავლეები წყვილდებიან და განიხილავენ მოფიქრებულ პასუხს;

III. გაუზიარე - მოსწავლეები წყვილებში განხილულ პასუხს კლასს უზიარებენ.

მეთოდის მსვლელობა:

ეს მეთოდი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა საგანში, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. გამოიყენება წაკითხვამდე, კითხვის პროცესში და წაკითხვის შემდეგ. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად შეძლონ ამ მეთოდის დახმარებით ტექსტების დამუშავება, ესაუბრეთ მათ მეთოდის შესახებ. უთხარით, რომ „დაფიქრდი - დაწყვილდი - გაუზიარე“, როგორც ეს სახელწოდებიდან ჩანს, სამ საფეხურს მოიცავს. აუხსენით, რა მოეთხოვებათ თითოეულ საფეხურზე.

დაფიქრდი. პირველ ეტაპზე მოსწავლეები ფიქრობენ თავიანთ პასუხზე. ეს არის დრო, რომელიც გამოყოფილია ე.წ. „ჩუმი ფიქრისათვის“, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, კარგად მოიფიქროს და ჩამოაყალიბოს პასუხი. საკითხის სირთულიდან გამომდინარე, მოსწავლეს მოსაფიქრებლად ეძლევა განსაზღვრული დრო. მოსწავლე პასუხის ჩამოყალიბებას ცდილობს არსებული(წინარე) ცოდნის გააქტიურებით. ამ

საფეხურზე მოსწავლეებს უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა. ისინი ცდილობენ კარგად ჩამოაყალიბონ სათქმელი, ვიდრე დაიწყებენ პარტნიორთან დისკუსიას. მოსწავლეებს თავიანთი აზრის დაფიქსირება წერილობითაც შეუძლიათ. ამისათვის გამოიყენეთ სამუშაო ფურცელი, რომელიც მათ ინდივიდუალურად უნდა დაურიგდეთ.

დაწყვილდი. მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს, რათა ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი შეხედულებები და შეჯერებული მოსაზრება წარუდგინონ კლასს. რამდენიმე წუთის განმავლობაში მოსწავლეები წყვილებში განიხილავენ თავიანთ პასუხებს. როგორც ცნობილია, მოსწავლეებს საკითხის გააზრებაში ეხმარება საუბარი/დისკუსია. საუბრის დროს მოსწავლეები თავიანთ პასუხებზე ხელახლა ფიქრობენ და ახალი იდეები ებადებათ.

გაუზიარე. მას შემდეგ, რაც წყვილები შეაჯერებენ მოსაზრებებს, მასწავლებელი სთხოვს მათ თავიანთი აზრი კლასს გააცნონ. მოსწავლეებს უფრო მეტი სურვილი აქვთ, გამოთქვან თავიანთი აზრი დაწყვილების შემდეგ, რადგან პასუხზე პასუხისმგებლობას წყვილი იყოფს. დაწყვილების შემდეგ მოსწავლეები სათქმელს უფრო ლაკონურად აყალიბებენ, რადგან ჰქონდათ საშუალება, ემსჯელათ, განეხილათ მოფიქრებული პასუხი. გაზიარებაში მათ სამუშაო ფურცელიც ეხმარებათ, რომელიც შეჯამებისათვის გამოადგებათ.

სამუშაო ფურცელი

შეკითხვა	**მე რა ვიფიქრე**	**მეწყვილემ რა იფიქრა**	**რა გავუზიარეთ კლასს**

კვლევა ცხადყოფს, რომ ჩვენ გვჭირდება დრო, რათა კარგად გავიაზროთ ახალი ინფორმაცია და იდეები. როცა მასწავლებელი ერთბაშად აწვდის მოსწავლეს დიდი რაოდენობით სიახლეს, უმეტესი ნაწილი იკარგება. თუ მოსწავლეს ხშირად შევთავაზებთ ამ მეთოდს, გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ადვილად დარჩება მათ მეხსიერებაში.

2. ორიენტირებული კითხვა

მეთოდის შესახებ

ორიენტირებული კითხვა მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტთან მუშაობას გულისხმობს და კითხვის სამივე ფაზას მოიცავს (წაკითხვამდე, კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ). პირველ ფაზაზე მასწავლებელი აქტიურ როლს ასრულებს, რათა მოსწავლეები სათანადოდ მოემზადონ კითხვის დასაწყებად. ამ ფაზაზე მოსწავლეები ააქტიურებენ წინარე ცოდნას, განიხილავენ ტექსტის მნიშვნელოვან ლექსიკურ ერთეულებს, აყალიბებენ ტექსტის წაკითხვის მიზანს/დანიშნულებას და დემონსტრირებისა და პრაქტიკული ვაჯიშის გზით, ივითარებენ ეფექტური კითხვისა და გაგებისათვის საჭირო უნარებს. კითხვის პროცესში, მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების გამოყენებით, მოსწავლეები ცდილობენ, გააკონტროლონ გაგების პროცესი. ამ ფაზაზე მოსწავლეები მიმართავენ გაგებისათვის საჭირო ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: წაკითხულის შეჯამება, დასკვნების გამოტანა, შეკითხვების დასმა, ვარაუდის გამოთქმა და ა.შ. ასევე მოსწავლეები ცდილობენ, გაარკვიონ, თუ რა ვერ გაიგეს სათანადოდ და როგორ არის შესაძლებელი გააზრებაში წარმოქმნილი ხარვეზების დაძლევა. წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი უძღვება დისკუსიას, რომელიც მოცემული ტექსტის წაკითხვის თავდაპირველ მიზანზე ფოკუსირებულია.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი შემდეგი საფეხურების გავლას გულისხმობს:

1. შესავალი

- რა იცით ამ საკითხის შესახებ?

2. ვარაუდების გამოთქმა

- რას გეუბნებათ სათაური? რას შეეხება ეს ტექსტი? რატომ ფიქრობთ ასე?
- რას გეუბნებათ ყდაზე ან ტექსტში მოცემული ილუსტრაციები?

3. ვარაუდების დადასტურება ან მოდიფიცირება.

- ახლა რას ფიქრობთ? რას გრძნობთ? რატომ გაგიჩნდათ ეს აზრი?
- შეგიძლიათ თქვენი ვარაუდების დადასტურება?

4. გააზრება/რეფლექსია

- ტექსტის რომელი ადგილების მოშველიებით შეგიძლიათ თქვენი ვარაუდების დადასტურება?
- ტექსტის რომელი ადგილების წაკითხვის შედეგად შეიტანეთ ცვლილებები თქვენს ვარაუდებში?

მეთოდის დანიშნულება

ორიენტირებული კითხვა რამდენიმე დანიშნულებით გამოიყენება, კერძოდ:

- მოსწავლე იაზრებს სიტყვების მნიშვნელობას და ცდილობს მათ შორის კავშირის გაბმას;
- მოსწავლე ააქტიურებს წინარე ცოდნას ტექსტის საკვანძო თემასთან და ძირითად საკითხებთან დაკავშირებით;
- მოსწავლე გაავარჯიშებს კითხვისა და გაგების საბაზისო უნარებს (ვარაუდის გამოთქმა, შეჯამება, შეკითხვების დასმა);
- მოსწავლე ეჩვევა ტექსტის წაკითხვის მიზნის ჩამოყალიბებას კითხვის დაწყებამდე;
- მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ მიადევნოს თვალყური გაგების პროცესს და როგორ გადაჭრას გააზრების დროს წამოჭრილი პრობლემები.

ორიენტირებული კითხვა ხელს უწყობს მოსწავლეებს, უკეთ გაიაზრონ და სიღრმისეულად დაამუშაონ ტექსტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას, მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება. ისინი სწავლობენ კითხვის დასმას, ვარაუდების გამოთქმას და არგუმენტირებულ მსჯელობას.

ორიენტირებული კითხვის მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყველა დონის მოსწავლეს გააზრებინოს და დაამუშავებინოს თუნდაც რთული ტექსტი. შენარჩუნებულ იქნას ყურადღება და ინტერესი ტექსტის კითხვის მთელი პროცესისი განმავლობაში და მოსწავლე ბოლომდე გატაცებულ მკითხველად დარჩეს.

მიზანი

ორიენტირებული კითხვის მეთოდი მიზნად ისახავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას კითხვის პროცესში,ინტერესის აღძვრას, ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა ჩამოყალიბებას. მოსწავლეს შეუძლია, კრიტიკულად აღიქვას, გააანალიზოს მასალა, განიხილოს მისი ღირსება და მნიშვნელობა.

მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში

მეთოდი რომ უფრო ნათელი გახდეს, მკითხველისათვის მაგალითები მოყვანილი იქნება ყველასთვის კარგად ნაცნობი ზღაპრიდან „წითელქუდა“.

- ტექსტი წინასწარ დაყავით რამდენიმე ნაწილად. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტი გაწყდეს საკვანძო საკითხებთან, რათა მოსწავლეებმა შემდეგ მონაკვეთში მოცემული სიუჟეტის შესახებ გამოთქვან ვარაუდი;
- გაკვეთილის დასაწყისში გააკეთეთ მოკლე მიმოხილვა ნაწარმოების ავტორზე;
- მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ ტექსტი ნაწილ-ნაწილ უნდა წაიკითხონ და ყოველი ნაწილის შემდეგ უნდა შეჩერდნენ. აუხსენით, რომ ამ პირობის დაცვა მნიშვნელოვანია, რადგან ერთი მხრივ, უნდა გაიაზრონ უკვე წაკითხული მონაკვეთი, ახსნან გაუგებარი სიტყვები, შეეცადონ საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ შინაარსი, დასვან კითხვები წაკითხულის ირგვლივ, გასცენ პასუხები მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს და მეორე მხრივ, გამოთქვან ვარაუდები მომდევნო ნაწილის შესახებ;
- შეარჩიეთ ტექსტიდან 4-5 სიტყვა, რომელიც ამოკრეფილია შეძლებისდაგვარად ზუსტი ვარაუდების მისანიშნებლად, მაგრამ, ამავე დროს, არ ამჟღავნებს ნაწარმოების საიდუმლოს.
- ჩამოუწერეთ ეს სიტყვები დაფაზე (მაგალითად: გოგონა, მგელი, ტყე, ბებია, მონადირე) და სთხოვეთ მოსწავლეებს, ამ სიტყვების გამოყენებით შეთხზან პატარა ამბავი.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, სურვილის მიხედვით გამოვიდნენ „საავტორო სკამზე“ და მთელი კლასის წინაშე წაიკითხონ მათ მიერ შეთხზული ამბავი.
- ამის შემდეგ მოსწავლეებს გააცანით ინსტრუქცია, რომ დღეს გამოიყენებენ „ვარაუდების სქემას“. აუხსენით, რას ნიშნავს ეს სქემა და როგორ უნდა იმუშაონ მასზე.

ვარაუდების სქემა

	როგორ ფიქრობთ რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			

I მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
II მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
III მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			

- მოსწავლეებს წაუკითხეთ სათაური და სთხოვეთ, დაფიქრდნენ და გამოთქვან ვარაუდი, თუ რაზე იქნება საუბარი ამ ტექსტში. შემდეგ სთხოვეთ, შეავსონ ცხრილის პირველი და მეორე გრაფა.

მაგალითი I: მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს და თან მიუთითებენ, რომ რადგან სათაურია „წითელქუდა“, ალბათ მთავარი მოქმედი გმირი იქნება ბავშვი, რომელსაც წითელი ქუდი ახურავს.

- ამის შემდეგ სთხოვეთ წაიკითხონ პირველი ნაწილი და შეავსონ მესამე გრაფა: „სინამდვილეში რა მოხდა?“

მაგალითი II: მოსწავლემ წაკითხვის შემდეგ დააზუსტა, რომ მართლაც ეს ყოფილა პატარა გოგონა, რომელსაც ბებიამ მოუქსოვა წითელი ქუდი და რადგან მუდამ ეს ქუდი ახურავს, წითელქუდა შეარქვეს.

- მოსწავლეებს სთხოვეთ, გამოთქვან ახალი ვარაუდები, რა მოხდება შემდეგ ნაწილში? და რა მინიშნება აქვთ საამისოდ. ტექსტის მეორე ნაწილში განვითარებული მოვლენების შესახებ ახალი ვარაუდები I და II სვეტში შეიტანონ.

- ასე გააგრძელონ მანამ სანამ მოსწავლეები უკანასკნელ მონაკვეთს არ წაიკითხავენ.

- კითხვის დასრულების შემდეგ მოისმინეთ მოსწავლეთა გამოხმაურება წაკითხულის შესახებ.

- დასასრულს, შეგიძლიათ გამოიყენოთ წერითი აქტივობა „გმირის(პერსონაჟის) რუკა“. აუხსენით მოსწავლეებს როგორ უნდა იმუშაონ მასზე.



- შეიძლება გამოყოთ არა ერთი, არამედ ორი-სამი დამახასიათებელი თვისება.
- შეიძლება არგუმენტი ტექსტიდან მოიყვანოთ, ან მოსწავლემ თავისი ნააზრევი დაწეროს.

3. ურთიერთსწავლება

მეთოდის შესახებ

„ურთიერთსწავლების“ მეთოდი ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა წაკითხული ტექსტის გასააზრებლად. მისი გამოყენების დროს მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, ირგებენ სხვადასხვა როლს და ტექსტის დამუშავებისას თავად წარმართავენ სწავლებისა და სწავლის პროცესს. ძირითადი აქტივობები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლეები ტექსტზე მუშაობენ, არის:

- შეჯამება;
- კითხვების დასმა;
- ბუნდოვანი ადგილების ახსნა-განმარტება;
- ვარაუდების გამოთქმა.

მიზანი: წინარე ცოდნის გამოყენების უნარი; მიღებული ინფორმაციის მოკლედ შეჯამების უნარი; შეკითხვების დასმის უნარი; კონტექსტური გასაღებების გამოყენებით ბუნდოვანი ადგილების განმარტების უნარი; ვარაუდების ჩამოყალიბების უნარი; საკუთარი მოსაზრებების თამამად გამოთქმის უნარი;

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს ტექსტს, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ოთხკაციან ჯგუფებში შეასრულონ მეთოდით გათვალისწინებული ყველა ტიპის სამუშაო: თითოეული ნაწილის ირგვლივ დასვან კითხვები, დააზუსტონ ბუნდოვანი ადგილები ან ტერმინები, შეაჯამონ წაკითხული მონაკვეთი და გამოთქვან ვარაუდები. პარალელურად მასწავლებელი ამზადებს სამუშაო ფურცელს ჯგუფის წევრებისათვის.
- მასწავლებელი კლასს ყოფს ოთხკაციან ჯგუფებად და ჯგუფის წევრებს გაუნაწილებს შემდეგ როლებს: შემაჯამებელი, კითხვების დამსმელი, ამხსნელი და ვარაუდების გამომთქმელი. მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებსა და ტექსტს, რომელიც დაყოფილია მონაკვეთებად/აბზაცებად. მკაფიოდ განუმარტავს მათ, რომ ყოველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ, თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეასრულოს თავისი როლის შესაბამისი დავალება:

შემაჯამებელი ჯგუფში ფასილიტაციას უწევს წაკითხული მონაკვეთის/აბზაცის შეჯამებას. სვმას მასტან დაკავშირებულ შეკითხვებს, მაგ: რა არის ამ მონაკვეთის მთავარი აზრი? რა გავიგეთ ამ ნაწყვეტიდან? საბოლოო დასკვნებს ერთი ან ორი წინადადებით აყალიბებს და სამუშაო ფურცელზე ჩაინიშნავს.

კითხვების დამსმელი სვამს შეკითხვებს წაკითხულის ირგვლივ. შეკითხვები ეხება ძირითად აზრს, მნიშვნელოვან დეტალს ან შესაძლო დასკვნას, თუ რის შესახებ არის საუბარი ამ ნაწყვეტში. სასურველია, მან ჩაინიშნოს ყველა კითხვა, რომლებიც ამ მონაკვეთის ირგვლივ გაუჩნდებათ ჯგუფის წევრებს.

ამხსნელი ცდილობს, თავად ან ჯგუფის წევრების დახმარებით ახსნას ის ლექსიკური ერთეული (სიტყვა, ტერმინი, ცნება), ინფორმაცია, რომელიც ყველასთვის არ არის გასაგები. განმარტებებს ჩაინიშნავს სამუშაო ფურცელზე.

ვარაუდების გამომთქმელი წაკითხული მონაკვეთიდან გამომდინარე, ცდილობს, დაფიქრდეს და გამოთქვას მოსაზრება, როგორ შეიძლება გაგრძელდეს ამბავი შემდეგ ნაწილში. მოგვიანებით იგი თავის ვარაუდებს შეუდარებს ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებს, საბოლოოდ კი მიღწეულ შეთანხმებას წერილობით დააფიქსირებს ფურცელზე.

- თითოეული ნაწილის დამუშავების შემდეგ ჯგუფში როლები იცვლება. საბოლოოდ გაკვეთილის განმავლობაში ყველა მოსწავლეს მოუწევს ოთხივე ტიპის დავალების შესრულება. კლასის წინაშე თითო ჯგუფი თითო პრეზენტაციას აკეთებს. გთავაზობთ სქემას:



4. სტრატეგია „3-2-1“

მეთოდის შესახებ

„3-2-1“ ერთ-ერთი ძლიერი აქტივობაა ტექსტების გასააზრებლად. ეს მეთოდი მკითხველს აძლევს საშუალებას, მიღებული ინფორმაცია დაახარისხოს სხვადასხვა პრინციპით, დასვას შეკითხვები, შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, ხოლო

მასწავლებელს ეხმარება, თვალი გაადევნოს მოსწავლის მიერ ინფორმაციის გააზრების პროცესს.

„3-2-1“ მასწავლებელს შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს როგორც ტექსტის/გაკვეთილის შეჯამებისას, ისე ტექსტის წაკითხვამდეც/გაკვეთილის პირველ ფაზაზე. ამი მიხედვით დავალებებიც სხვადასხვაგვარი იქნება.

მიზანი

მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უვითარდებათ:

- მიღებული ინფორმაციის კატეგორიზების უნარი;
- მთავარი და მეორეხარისხოვანი ასპექტების გარჩევის უნარი;
- შეკითხვის დასმის უნარი;
- საკუთარი მოსაზრებების გამართულად ჩამოყალიბებისა და მსჯელობის უნარები;
- წერის უნარ-ჩვევები და კრიტიკული აზროვნება.

მეთოდის ვარიაცია

გთავაზობთ 3-2-1 სტრატეგიის ერთ-ერთ ვარიაციას:

- 3 რამ, რაც მნიშვნელოვანი იყო ტექსტში;
- 2 შეკითხვა ტექსტთან/საკითხთან დაკავშირებით;
- 1 რამ, რასაც გავაკრიტიკებდი.

5. როლური თამაში

მეთოდის შესახებ

თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ცნობილი მეთოდი არის სიმულაცია, ანუ როლური თამაში, რომელიც მოსწავლეთათვის განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს და მათ მაღალ სააზროვნო უნარებს უვითარებს.

სიმულაცია გულისხმობს ისეთი ხელოვნური სიტუაციების შექმნას, რომლებიც რეალობის მსგავსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება. სიმულაციას ადამიანების მონაწილეობით კი როლურ თამაშს უწოდებენ.

როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა. ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან, მათ საშუალება

აქვთ, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას.

განასხვავებენ **როლური თამაშის ორ ძირითად ტიპს:**

- თავისუფლად ასოცირებული და სპონტანური როლური თამაშები, რომლებსაც თამაშის მონაწილეები თამაშის დროს ფანტაზიით ქმნიან და უმეტეს შემთხვევაში, ცვალებადი სცენარებით თამაშობენ.
- რეგლამენტირებული როლური თამაში, რომელშიც მოთამაშეები მყარი "თამაშის წესს" და სცენარს მისდევენ და თამაშის განსაზღვრულ საშუალებებს იყენებენ. ფართო გაგებით, მას მიეკუთვნება თამაშის ყველა ტიპი, რომელსაც მყარი წესების მიხედვით თამაშობენ.

როლური თამაშის მიზანია: სხვა ადამიანის როლის თამაშით მოსწავლეებმა ერთსა და იმავე პრობლემას რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ, რაც მათ თვალსაწიერსა და მაღალ სააზროვნო უნარებს განუვითარებს; ემაპათიის/თანაგანცდის უნარის განვითარება.

გასათამაშებელი როლი ზოგჯერ მეტად განსხვავებულია პიროვნების ხასიათისაგან, ზოგჯერ კი ძალიან ჰგავს მას. როლების გაცვლით შესაძლებელი ხდება, მოსწავლეები ჯგუფის იმ წევრების გრძნობებსა და ფიქრებს ჩასწვდნენ, რომელთა ხასიათი შეესაბამება გათამაშებულ როლს. ეს კი მათ უვითარებს ემპათიის გრძნობას.

სწავლების პროცესში როლური თამაშის გამოყენებით გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- თემატურად მსგავსი შინაარსების ურთიერთდაკავშირებას;
- ინფორმაციისა და გამოცდილებების როლური გათამაშებით გადმოცემას;
- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებას;
- თვითრეფლექსიასა და თვითრეალიზებას;
- სოციალური კომპეტენციების გამომუშავებას;
- განსაზღვრული/მოცემული ქმედებების იმიტაციას და დახვეწას.

როლური თამაში სამი ფაზისაგან შედგება:

- **მომზადება;**

- **გათამაშება;**
- **განხილვა.**

მომზადება:

როლური თამაშისთვის წინასწარ უნდა მოემზადონ როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეები.

- მასწავლებელი განსაზღვრავს მიზანს;
- იგი ირჩევს როლურ თამაშს და ადგენს სცენარს, როდესაც საქმე გვაქვს რეგლამენტირებულ როლურ თამაშთან, ან სცენარის მონახაზს, სპონტანური როლური თამაშისას. როლური თამაშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ინტერესებსა და საჭიროებებს;
- მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას, სასურველია _ წერილობით. ინსტრუქცია დეტალურად უნდა აღწერდეს თამაშის მიზანს, შესრულების დროს, შესასრულებელ როლს, თამაშის წესს. იგი უნდა იყოს მარტივი ენით დაწერილი, გასაგებად ფორმულირებული და კონკრეტული;
- მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს როლური თამაშის შეფასების კრიტერიუმებს;
- თუ მასწავლებელს სურს, მოსწავლეებს დაკვირვების და ობიექტური შეფასების უნარები განუვითაროს, სასურველია, ჯგუფის წევრებს შორის გამოყოს დამკვირვებლები, რომლებიც შეაფასებენ როლურ თამაშში მონაწილეებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

გათამაშება:

შემდეგი ეტაპი უშუალოდ თამაშის მსვლელობაა.

- მოსწავლეები ასრულებენ როლებს ინსტრუქციის შესაბამისად. როლური თამაშების შედეგი პირდაპირ უკავშირდება ჯგუფის წევრების პროცესში ჩართულობასა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნებას. ამიტომ, ჯგუფის პასიური წევრები უნდა წავახალისოთ, რათა მონაწილეობა მიიღონ პროცესში.

განხილვა:

- როლური თამაშების დასრულების შემდეგ მონაწილეები ასრულებენ მოქმედებას და გამოდიან როლიდან; ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძინეს/ ისწავლეს და გამოხატავენ ემოციებს, თუ რას გრძნობენ, რა იყო პოზიტიური და

ნეგატიური მუშაობის პროცესში. განხილვა უნდა შეეხებოდეს მხოლოდ შინაარსსა და პროცესს და არა მონაწილეებს.

- ამის შემდეგ დამკვირვებლები გამოთქვამენ კომენტარებს ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებით.
- ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს შედეგებს.

იმისათვის, რომ როლური თამაში იყოს ეფექტიანი, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს როლური თამაშის სამივე ფაზა. როგორც ყველა მეთოდს, როლურ თამაშსაც აქვს თავისი დადებითი ეფექტები და სირთულეები.

სასწავლო პროცესში როლური თამაშების გამოყენების დადებითი ეფექტებია:

- მოსწავლე ყოველთვის ხალისით ერთვება თამაშში;
- ამჟღავნებს ინტერესსა და ენთუზიაზმს;
- მაშინვე იღებს უკუკავშირს.

როლურ თამაშს ახლავს შემდეგი სირთულეები:

- როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს. ამიტომ ამ მეთოდის გამოყენებამდე მასწავლებელმა ისეთი შემოქმედებითი აქტივობები უნდა დაგეგმოს, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ უნარების განვითარებას (მაგ., დაასრულე მოთხრობა, შეცვალე მოთხრობის ფინალი, დაწერე ესსე, შექმენი სცენარი და სხვ.).
- როლურმა თამაშმა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არსებული დისტანცია შეიძლება ზედმეტად დაარღვიოს, რაც მასწავლებელს შემდგომში კლასის მართვაში შეუშლის ხელს. ამ სირთულის დასაძლევად მასწავლებელი თანმიმდევრული უნდა იყოს როლური თამაშის წესების დაცვაში და მოსწავლეებსაც უნდა მოსთხოვოს მათი დაცვა.
- მოსწავლეები, რომელთაც უჭირთ ემოციებისა და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა, დისკომფორტს გრძნობენ როლური თამაშისას. ამის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა უნდა "გახსნას" ასეთი მოსწავლე. ამისათვის ნაკლებად უნდა გამოიყენოს კრიტიკა და წაახალისოს მცირედი მცდელობისთვისაც კი.
- ჯგუფის ზოგიერთ წევრს უჭირს როლიდან გამოსვლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ერთგვარი გაუგებრობა და ნეგატიური ურთიერთგანწყობა.

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს როლიდან გამოსვლაში (მაგ., სისტემატურად უნდა შეახსენოს მათ, რომ ეს თამაშია და არა რეალობა).

- როლური თამაშების ჩატარება ძნელია დიდ ჯგუფებთან. როდესაც მასწავლებელს დიდ ჯგუფებთან უწევს მუშაობა, სჯობს, მოსწავლეთა ნაწილი დამკვირვებლის როლში ჩააყენოს.

6. პაუზებით კითხვა

მეთოდის შესახებ

პაუზებით კითხვის მეთოდი რთული ტექსტების დასამუშავებლად გამოიყენება და ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართვას კითხვის პროცესში, რათა მოსწავლემ გაიაზროს და დაამუშაოს რთული ტექსტი მასწავლებლის დახმარებით.

მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სწავლობენ:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, ტექსტის წაკითხვასა და გაანალიზებას;
- არგუმენტირებულ მსჯელობას;
- დასკვნების გამოტანასა და წაკითხულის შეჯამებას;
- ლოგიკურ აზროვნებას;
- სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

მიზანი

მეთოდი ავითარებს: კითხვის, წერის, ზეპირმეტყველების უნარებს; მისი გამოყენება მიზანშეწონილია მეორე კლასის მეორე ნახევრიდან („დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010 წ. გვ. 46; 47).

მსვლელობა

1. მოსწავლეებისთვის უკვე ნაცნობი ტექსტი წინასწარ რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი;

2. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ტექსტი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად და ასევე ნაწილ-ნაწილად უნდა წაიკითხონ. ყოველი ნაწილის შემდეგ უნდა შეჩერდნენ.

3. მოსწავლეებს წააკითხეთ ჯერ პირველი ნაწილი და მიეცით დავალება. მაგ: „ხაზი გაუსვით უცხო სიტყვებს“; „ამოიწერეთ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი“ და ა. შ.

ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ყურადღებით წაიკითხონ პირველი ნაწილი.

4. პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ გამართეთ კლასში მსჯელობა შეკითხვებზე: ,,ვის შეუძლია განმარტოს...“ ,,გთხოვთ, გადმოსცეთ ტექსტის ეს ნაწილი ტქვენი სიტყვებით“ და ა.შ.

5. მოსწავლეებს სთხოვეთ, უპასუხონ დასმულ კითხვებს: ,,თქვენ როგორ განავითარებდით მოვლენებს?“ ,,რატომ?“, ,,რატომ განავითარა ავტორმა მოვლენები ასე და არა სხვაგვარად?“ და ა. შ.

6. აზრის გამოთქმის შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ, წაიკითხონ მეორე ნაწილი.

7. ასე განაგრძეთ მანამ, სანამ ტექსტს ბოლომდე არ წაიკითხავთ.

8. ტექსტის ნაწილ-ნაწილ დამუშავების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეკითხვები დაუსვით. მაგ: ,,რა არის ნაწარმოების მთავარი აზრი?“, ,,როგორ შეაფასებდით გმირის საქციელს?“, ,,თქვენ მის ადგილზე როგორ მოიქცეოდით?“, რატომ ფიქრობთ ასე?“ და ა. შ.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

- სასურველია, წინასწარ მომზადდეს ტექსტი, რომელიც რამდენიმე ნაწილად ისეა დაყოფილი, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ პაუზებთან შეჩერება;
- სანამ მოსწავლეები ამ მეთოდით მუშაობას შეეჩვევიან, ტექსტი არ უნდა იყოს დიდი;
- წინასწარ განსაზღვრეთ დრო დისკუსიისათვის.

7. ჯიგსოუს მეთოდი

ჯიგსოუს ტექნიკა განავითარეს და პრაქტიკაში გამოსცადეს არონსონმა და მისმა სტუდენტებმა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჯერ – ტეხასის, მერე კი კალიფორნიის უნივერსიტეტებში. 1978 წელს არონსონმა თავის წიგნში „Jigsaw Classroom” დაწვრილებით აღწერა როგორც თავად მეთოდი, ასევე მასთან დაკავშირებული კვლევები და ხელმისაწვდომი გახადა იგი ფართო საზოგადოებისთვის. არონსონის მიხედვით, ჯიგსოუს ტექნიკა იყო მეთოდური მცდელობა, დაეძლია საკლასო ოთახში იმხანად ჯერ კიდევ არსებული სეგრეგაცია

და, აქედან გამომდინარე, რასობრივი დაძაბულობა. ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრმა არონსონი ისეთი მეთოდური სისტემის შექმნამდე მიიყვანა, რომელშიც მოსწავლეები მნიშვნელოვან რესურსად განიხილებოდნენ და რომელიც ჯიგსოუ ერთის სახელწოდებით არის ცნობილი.

არონსონის მიხედვით, ჯიგსოუს ტექნიკა ხუთი ფაზისაგან შედგება:

- შესავალი;
- ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფების შიგნით;
- თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში;
- თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში;
- თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება.

პირველი ფაზა: შესავალი

ამ ფაზაში მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს განსახილველ თემას და მოსწავლეებს გააცნობს ჯიგსოუს ტექნიკას. შემდეგ იქმნება ძირითადი ჯგუფები. თითოეულში შედის არაუმეტეს ექვსი მოსწავლისა. დაკომპლექტებისას გასათვალისწინებელია, რომ ჯგუფი უნდა იყოს ჰეტეროგენული სქესის, წარმომავლობისა და უნარების მიხედვით, რაც მოსწავლეებს ტოლერანტობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობათა გამომუშავებაში ეხმარება. ამის შემდეგ ხდება ძირითადი ჯგუფებიდან ე.წ. ჯგუფის ხელმძღვანელის არჩევა, რომელიც პასუხისმგებლია მუშაობის პერიოდში ჯგუფის მობილიზებაზე.

მეორე ფაზა: ცალკეული თემების/თემის ნაწილების დამუშავება ძირითადი/ჯიგსოუსჯგუფების შიგნით

მასწავლებელი დასამუშავებელ თემას წინასწარ ყოფს იმდენ ნაწილად, რამდენი წევრიც არის თითოეულ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფში. თემის ნაწილები უნდა იყოს თანაბარი სირთულისა და მათ დამუშავებას უნდა სჭირდებოდეს ერთი და იგივე დრო.

თითოეული ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფი ამუშავებს ერთსა და იმავე თემას. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა თემის შესაბამისი ნაწილი, რომელსაც იგი დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ამუშავებს.

მესამე ფაზა: თემის ნაწილების გაღრმავება ექსპერტთა ჯგუფებში

მას შემდეგ, რაც თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად დაამუშავებს თემის შესაბამის ნაწილს, დგება ექსპერტთა ჯგუფები. მოსწავლეები, რომელთაც დაამუშავეს ერთიდა იგივე ნაწილი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების გასარკვევად. კომპლექტდება იმდენი ექსპერტთა ჯგუფი, რამდენ ნაწილადაც იყო დაყოფილი თემა. ექსპერტთა ჯგუფების შიგნით მოსწავლეები აჯერებენ ინდივიდუალურად მოპოვებულ ცოდნას და მსჯელობენ იმაზე, როგორ გადასცენ უკეთ მათ მიერ მოპოვებული ცოდნა ძირითადი/ჯიგასოუს ჯგუფის სხვა წევრებს.

მეოთხე ფაზა: თემის ნაწილთა გადაცემა ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებში

მეოთხე ფაზაში მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ ძირითად/ჯიგსოუს ჯგუფებს, რათა ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადასცენ თემის მათ მიერ დამუშავებული და შემდეგ ექსპერტთა ჯგუფებში გაღრმავებული ნაწილი. ცალკეულ ნაწილთა ერთმანეთისთვის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ამ ნაწილებს აერთიანებენ და დასამუშავებელ თემას ერთ მთლიანობად მოიაზრებენ.

მეხუთე ფაზა : თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ცოდნის შემოწმება და შეფასება

დასკვნით, მეხუთე ფაზაში მოწმდება, რამდენად აითვისა თითოეულმა მოსწავლემ თემა. ჯგუფის საერთო წარმატების გაზომვას არონსონის მეთოდი არ ითვალისწინებს. იმართება საკლასო დისკუსია, სადაც განიხილება ჩატარებული სამუშაოს შედეგები – რამდენად კარგად შესრულდა იგი, სად იჩინა თავი დაბრკოლებამ, რატომ, მომავალში როგორ შეიძლება უკეთესი შედეგის მიღება.

ჯიგსოუ ორი რობერტ სლავინის მიხედვით

არონსონისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს მოსწავლეებში სოციალური უნარების განვითარებასა და კლასთან ინტეგრაციაზე აკეთებს, სლავინი ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგნობრივი კომპეტენციის განვითარებასაც.

ჯიგსოუს ამ ორ ტექნიკას შორის ძირითადი განსხვავება ასეთია: ჯიგსოუ ერთისგან განსხვავებით, ჯიგსოუ ორში:

- ჯგუფის ხელმძღვანელი მოსწავლეთა რიგებიდან არ სახელდება – მის ფუნქციას თავად იკისრებს მასწავლებელი;
- ჯგუფის ყველა წევრს მთელ დასამუშავებელ მასალაზე მიუწვდება ხელი.

მესამე და მეოთხე ფაზა ისევე მიმდინარეობს,როგორც ჯიგსოუ ერთში.ძირითადი განსხვავება მეხუთე ფაზაშია.

მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად სლავინმა შექმნა ე.წ. STAND (Student Team-Achievement Divisions) სისტემა. ჯიგსოუ ერთისაგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ მოსწავლეთა ინდივიდუალურ მიღწევებს აფასებენ, ჯიგსოუ ორში ფასდება ჯგუფის მიღწევაც. ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფის ყოველი მოსწავლე ზომავს ინდივიდუალური მიღწევის ზრდას (მაგალითად, „ბოლოსწინა ტესტში დავიმსახურე 10 ქულა, ბოლო ტესტში – 12 ქულა. აქედან გამომდინარე, მიღწევის ზრდაა 20%”). ამგვარად, მოსწავლე თავის ახლანდელ მოსწრებას ადარებს თავისივე წინა შედეგს და ამგვარად ხედავს საკუთარ პროგრესს. ჯგუფის მიღწევის გასაზომად კი ჯგუფის თითოეული მონაწილის მიღწევის კოეფიციენტები იკრიბება და ჯგუფის წევრების რაოდენობაზე იყოფა. ამგვარ შეფასებას ჯიგსოუ ერთთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ მოსწავლეებს უვითარებს ორმაგ – როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ – პასუხისმგებლობას.

მეთოდის ძლიერი მხარეები - კვლევებმა ცხადყო, რომ ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენებისას მოსწავლეები უკეთეს შედეგს იღებენ; მოსწავლეებს უმაღლდებათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, თვითორგანიზებისა და პასუხისმგებლობის უნარი; უვითარდებათ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ინტერესები; კლასში, სადაც ამ მეთოდს იყენებენ, მაღლდება მოსწავლეთა ურთიერთტოლერანტობა და ურთიერთპატივისცემა; მოსწავლეებს უვითარდებათ კომუნიკაციური უნარები; მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და საკუთარ პროგრესზე დაკვირვების უნარი.

მეთოდის სუსტი მხარეები - შედარებით „სუსტი” მოსწავლეებისთვის ერთგვარი წნეხია თემის ნაწილის დამოუკიდებლად დამუშავება. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია წყვილში მუშაობით ან მასწავლებელის დახმარებით. მეთოდის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ მის გამოყენებას სჭირდება 20-30%-ით უფრო მეტი დრო, ვიდრე იმავე თემის ტრადიციული მეთოდით დამუშავებას.

ექსპერტ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის სხვადასხვა ხარისხით მიწოდებამ (მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობების კვალობაზე) შესაძლოა საბოლოო შედეგებს ავნოს.

ჯიგსოუს ტექნიკა უნივერსალური მეთოდია, რომელიც შეიძლება თითქმის ყველა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელმა სწავლების ყველა საფეხურზე გამოიყენოს.

8. გონებრივი იერიში

მეთოდის შესახებ

გონებრივი იერიშის ძირითადი პრინციპი შემდეგია:

მოსამზადებელ ეტაპზე „გონებრივი იერიშის“ ინიციატორს ხელთ უნდა ჰქონდეს მეთოდისთვის საჭირო ყველა რესურსი - დაფა, ფლიფჩარტი, მარკერი, ცარცი და ა.შ.; უნდა განისაზღვროს, ვინ იქნება მოდერატორი/ფასილიტატორი, ანუ ვინ წაიყვანს პროცესს. ინიციატორიც და მოდერატორიც უმეტესწილად მასწავლებელია, მაგრამ შესაძლებელია იყოს ჯგუფის რომელიმე წევრიც.

„გონებრივი იერიშის“ დაწყების წინ საკითხი ან პრობლემა, რომლის გარშემო იდეები უნდა განვითარდეს, ცხადად უნდა იყოს ფორმულირებული ჯგუფის წევრების წინაშე. განასხვავებენ საკითხის დასმის ორ შესაძლებლობას: 1. ზოგადი კითხვები, რომლებიც ახსნის მრავალ შესაძლებლობებს გვთავაზობს; 2. კონკრეტული კითხვები, რომლებიც მიმართულია უშუალოდ პრობლემის გადაჭრისკენ.

მსვლელობა

პირველ ეტაპზე ყველა მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობით უნდა წამოიჭრას შეძლებისდაგვარად ბევრი იდეა, ისე, რომ არ მოხდეს იმის განსჯა, რომელი იდეაა უფრო მომწიფებული და ხარისხობრივად ღირებული. გამონაკლისის გარეშე ჯგუფიდან წამოსული ყველა იდეა კრიტიკისა და სელექციის გარეშე ფიქსირდება დაფაზე/“ფლიფჩარტზე“. იდეების ჩამწერი შესაძლებელია იყოს თავად მოდერატორი ან ჯგუფის სხვა რომელიმე წევრი. შეიძლება უჩვეულოდ მოგვეჩვენოს, რომ ამ ეტაპზე უპირატესობა ენიჭება იდეების რაოდენობას და არა ხარისხს, თუმცა პროცესის დასაწყისში არასოდეს არის ცნობილი, რომელი იდეა პრობლემის გადაჭრის რა პოტენციალს შეიცავს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ჯგუფის ერთი წევრის მიერ გამოთქმულ იდეას განავრცობენ ჯგუფის სხვა წევრები. „გონებრივი იერიშის“ დროს წინა პლანზე დგას უკვე ხელთ არსებული იდეებისა და გადაჭრის გზების არა რეპროდუქცია, არამედ ახალი შესაძლებლობების კონსტრუქციული პოვნა. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა პირველ ეტაპზე გამოხატონ არასტანდარტული, უჩვეულო ასოციაციები, რაც შეიძლება იქცეს ჯგუფის სხვა წევრებში ასოციაციების გამოწვევის სტიმულად.

იმისათვის, რომ „გონებრივი იერიშის“ მეთოდი წარმატებით განხპრციელდეს, პირველი ეტაპისთვის რამდენიმე ძირითადი წესია მნიშვნელოვანი, რომლებიც კრეატიული იდეების შეგროვების გარანტიაა:

- არ გააკრიტიკო არცერთი იდეა, რადგან ყველა იდეა ღირებული იდეაა;
- რაც უფრო მეტი იდეა წამოვა ჯგუფიდან, მით უკეთესი;
- შევავსოთ და გავაუმჯობესოთ უკვე არსებული იდეები;
- რაც უფრო უჩვეულო და ორიგინალურია იდეა, მით უკეთესი.
- ნუ შეგეშინდებათ, იყავით თამამი, ორიგინალური;
- ჩამოაყალიბეთ იდეა მოკლედ, ლაკონიურად და ნათლად.

ამ ეტაპზე მასწავლებლის ძირითადი ფუნქციაა:

- ჯგუფიდან მოითხოვოს რაც შეიძლება მეტი იდეა;
- დაეხმაროს მოსწავლეებს იდეის ლაკონიურად ჩამოყალიბებაში;
- მიუთითოს ჩანაწერების გამკეთებელს, როგორ გადაიტანოს იდეა მოკლედ „ფლიფჩარტზე“/დაფაზე;
- მოსწავლეებს შეაწყვეტინოს იდეის კრიტიკა და კიდევ ერთხელ შეახსენოს მათ, რომ მეორე ეტაპზე ყველას ექნება საშუალება გააანალიზოს ნებისმიერი იდეა და შეაფასოს მისი ღირებულება.

ბუნებრივია, რომ პირველ ეტაპზე შეგროვილი იდეები შემდგომ ეტაპზე კრიტიკულ გადახედვას საჭიროებს. სწორედ ამიტომ ახალი, შემოქმედებითი, ინოვაციური იდეების გენერირება უნდა გავმიჯნოთ ლოგიკური და კრიტიკული ნაწილისაგან.

მეთოდის შემდგომ ეტაპზე ჯგუფი იწყებს თითოეული იდეის განხილვას, იმ იდეების დაზუსტებას, რომლებიც ბოლომდე არ არის ნათელი და იმ იდეების

უარყოფასა და გაცხრილვას, რომლებიც, მონაწილეთა აზრით, ვერ იმუშავებს, ვერ შეუწყობს პრობლემის გადაჭრას ხელს. განხილვის პროცესში ზოგიერთი მონაწილე აღმოაჩენს, რომ იდეა, რომელიც მათ პირველ ეტაპზე თითქოსდა უსარგებლოდ და აბსურდულად ჩათვალეს, შეიძლება სასარგებლოდ გამოვიყენოთ. გაცხრილვის ეტაპზე ჯგუფი ფოკუსირებულია განხორციელებად, საინტერესო იდეების მცირე რაოდენობაზე. მას შემდეგ, რაც მოხდება უსარგებლო იდეების გამოხშირვა, მონაწილეები ახდენენ მსგავსი იდეების დაჯგუფებას.

მეთოდის ამ ეტაპებზე მონაწილეებს უვითარდებათ ისეთი მაღალი სააზროვნო უნარები, როგორიც არის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება.

გონებრივი იერიშის დადებითი მხარეები: ხელს უწყობს ინოვაციური იდეებისა და პრობლემის გადაჭრის ადეკვატური გზების პოვნას; მონაწილეებს ეხმარება დაინახონ პრობლემა სხვადასხვა პერსპექტივიდან; მაღალია მონაწილეთა ჩართულობა; ყველა მონაწილეს აქვს ერთი და იგივე სტატუსი და უფლებები; ხელს უწყობს მონაწილეებში შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;

ის ფაქტი, რომ პირველ ეტაპზე ყველა იდეა ფასეულია, მოსწავლეებს უვითარებს სხვათა აზრების პატივისცემას; მოსწავლეებს უვითარდებათ კომუნიკაციური უნარები - ერთის მხრივ ისინი ეჩვევიან საკუთარი აზრების გასაგებად და კომპაქტურად ჩამოყალიბებას, მეორეს მხრივ - სხვათა აზრების „დაჭერას“ და შემდგომ განვრცობასა და განვითარებას; საჭიროა მინიმალური რესურსები და ხარჯები; მინიმალურია ჯგუფის წევრებს შორის კონფლიქტის წარმოშობის საშიშროება, რადგან იდეების გენერირების პროცესში ყველა აზრი მისაღებია; შესაძლებელია სხვა მეთოდებთან ერთად მისი კომბინირებული გამოყენება.

უარყოფითი მხარეები:

- მეთოდის ეფექტიანობა მეტად დამოკიდებულია მონაწილეებზე;
- არის თემიდან გადახვევის საშიშროება;
- გადამეტებული სელექციის დროს შეიძლება ვარგისიანი იდეა დაიკარგოს;
- პატენტის დაცვის სიძნელე (ვის ეკუთვნოდა პირველად იდეა).

- მეთოდის სრულყოფილად განხორციელებას დიდი დრო სჭირდება, განსაკუთრებით იდეების სელექციის ეტაპზე.

9. კითხვები და პასუხები (QAR) მეთოდი

მეთოდის შესახებ

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები უპასუხებენ მოცემულ კითხვებს და პასუხებთან ერთად მათ სწორად გადაანაწილებენ ცხრილში.

მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები:

- ივითარებენ გაგება-გააზრების უნარს;
- აცნობიერებენ, რა სტრატეგიებს იყენებენ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- ახდენენ ინფორმაციის კატეგორიზებას.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს წასაკითხ ტექსტს და ჩამოაყალიბებს მასთან დაკავშირებულ შეკითხვებს, რომელთაც ჩამოწერს დაფაზე.
- მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ მომზადებულ ცხრილს, რომელიც შედგება ოთხი უჯრისაგან.
- ზედა მარცხენა უჯრას აწერია „იქვე ტექსტში“. აქ იწერება ისეთი კითხვა (და მასზე პასუხი), რომელიც პირდაპირ ექსპლიციტურად, არის მოცემული ტექსტში.
- ქვედა მარცხენა უჯრაში - „იფიქრე და მოიძიე“ ისწერება ისეთი კითხვები (და პასუხები), რომლებზე პასუხის გასაცემად მოსწავლემ ინფორმაცია ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში უნდა მოძებნოს.
- ზედა მარჯვენა უჯრაში - „ავტორი და მე“ იწერება იმპლიციტური ინფორმაცია, ანუ ტექსტში არ არის მოცემული, მაგრამ იგულისხმება. მოსწავლეებმა ტექსტში მოცემული ინფორმაცია უნდა დაუკავშირონ წინარე ცოდნას და ისე გასცენ პასუხი კითხვას.
- ქვედა მარჯვენა უჯრაში - „მე თვითონ“ იწერება განზოგადებული ინფორმაცია, ისეთი კითხვების პასუხები, რომლებსაც ტექსტის წაკითხვის გარეშეც, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება გაეცეს პასუხი, მაგრამ შინაარსობრივად ტექსტს უკავშირდება.



10. დებატები

მეთოდის შესახებ

დებატი აქტიური სწავლების საუკეთესო საშუალებაა. დებატის მიზანია ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებიდან ერთ-ერთის გამარჯვება (არგუმენტირების გზით). დებატის დროს მონაწილე ჯგუფები ცალ-ცალკე სხდებიან. ცალკე ადგილია გამოყოფილი ჟიურისთვისაც.

მიზანი

დებატი მოსწავლეებს:

- ეხმარება საკითხის, პრობლემის სიღრმისეულ გააზრებაში;

- უვითარებს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული მსჯელობით დაცვის უნარს;
- აჩვევს არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ჩამოყალიბებას;
- უვითარებს რიტორიკულ და ლოგიკურ უნარებს;

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს ისეთ საკითხს, რომლის შესახებ ორი საპირისპირო მოსაზრება არსებობს;
- შემდეგ კლასი გამოყოფს ორ ჯგუფს. ერთმა ჯგუფმა უნდა დაიცვას ერთი მოსაზრება, მეორემ - მეორე;
- მასწავლებელი ჯგუფებს წინასწარ აძლევს დროს არგუმენტების მოსაფიქრებლად;
- ჯგუფები სხდებიან აუდიტორიის სხვადასხვა მხარეს, ერთმანეთის პირისპირ. თავიანთი მოსაზრებების დაცვისას წარმოადგენენ არგუმენტებს;
- არგუმენტებს ინიშნავს საგანგებოდ შერჩეული ჟიური;
- იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უფრო მეტ და უფრო დამაჯერებელ არგუმენტს წარმოადგენს თავისი მოსაზრების გასამყარებლად.

11. „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“

მეთოდის შესახებ

„ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ მოსწავლის თვითშეფასებისთვის განკუთვნილი მეთოდია, რომელიც აღძრავს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და უბიძგებს მას ახლის შემეცნებისკენ.

მოსწავლემ ქვემოთ მოცემულ ცხრილში უნდა წარმოადგინოს, რა ცოდნას ფლობს, რისი შესწავლა სურს და რის სწავლას შეძლებს კონკრეტულ საკითხთან მიმართებით.

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

ცხრილის პირველ სვეტში – „ვიცი“ – მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ, თუ რა წინარე ცოდნა აქვთ შესასწავლი საკითხის შესახებ; შემდეგ ისინი უნდა დაფიქრდნენ და მომდევნო სვეტში – „მინდა ვიცოდე“ – ჩამოწერონ კითხვები, რომლებიც გაუჩნდათ შესასწავლ თემასთან დაკავშირებით; ხოლო საკითხის შესწავლის პროცესში, ან მისი დასრულების შემდეგ შეავსონ ბოლო სვეტი –„ვისწავლე“ – ახალი ინფორმაციით, რომელიც სწავლის პერიოდში მიიღეს.

მოცემული ინსტრუმენტის გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გააქტიუროს და შეაფასოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, გააძლიეროს მოსწავლის სურვილი, შეისწავლოს ახალი მასალა და, ამავე დროს, ხელთ ჰქონდეს მოსწავლეთა პროგრესის დამადასტურებელი დოკუმენტი. თავის მხრივ, მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ, თუ რა იცოდნენ და რა ისწავლეს ახალი სასწავლო საკითხთან დაკავშირებით, რაც მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში ეხმარება.

როგორ გამოვიყენოთ? - ამ მეთოდის გამოყენებას მოსწავლე იწყებს ახალი თემის შესწავლამდე, ხოლო თემის შესწავლის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ თანდათან ავსებს მას ინფორმაციით. ცხრილის შევსება შეიძლება გაგრძელდეს ერთი ან მეტი გაკვეთილის განმავლობაში.

მოსწავლეებს ცხრილის შევსება შეუძლიათ ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში. ეს დამოკიდებულია მასწავლებლის გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამომდინარეობს კლასის კონკრეტული საჭიროებებიდან.

ზოგჯერ შესაძლებელია „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ ცხრილზე მუშაობა და მისი შევსება

გაუჭირდეთ მოსწავლეებს. მათ შეიძლება თქვან, რომ არაფერი იციან ახალი საკითხის შესახებ, ან არა აქვთ არანაირი კითხვები. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი უნდა შეეცადოს და მისცეს მათ გარკვეული მინიშნებები, რა შეიძლება იცოდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა საგნებიდან ან საკუთარი გამოცდილებიდან. მაშინაც

კი, თუ აღმოჩნდება, რომ მოსწავლეს არანაირი წინარე ცოდნა არ გააჩნია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით, მას მაინც შეუძლია დაიწყოს ცხრილზე მუშაობა მეორე სვეტის შევსებით და მიუთითოს, რისი გაგება აინტერესებს ყველაზე მეტად. საკითხის შესწავლის შემდეგ კი მას შეუძლია მესამე სვეტში ჩაწეროს, რა ისწავლა.

საზროვნო სქემები ანუ კოგნიტური დიაგრამები

ვიზუალურ სქემებზე მუშაობა კითხვის ამა თუ იმ კონკრეტული სტრატეგიის გავარჯიშებას უწყობს ხელს, თითოეული შევსებული სქემა დამოუკიდებელი პროდუქტია და ერთგვარი ინდივიდუალური `საავტორო ნამუშევრის~ ეფექტსაც იძლევა. ფურცელზე ან დაფაზე სქემის შევსების პროცედურა თანდათანობით მოსწავლის გონებაში გადაინაცვლებს, რაც საგრძნობლად აადვილებს და აჩქარებს გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენებას.

სქემების გამოყენება კითხვის უნარის მონიტორინგშიც გვეხმარება. ლექსიკური მარაგის ფლობა და წაკითხულის გააზრება უხილავი მოვლენებია, რაც ართულებს მათ შეფასებას. ამიტომ მოსწავლეთა მიერ სქემის შექმნის/შევსების პროცესზე თვალის მიდევნება დიდ დახმარებას უწევს მასწავლებელს დიაგნოსტიკასა და განმავითარებელ შეფასებაში.

როგორც წესი, ამგვარი სქემების შესავსებად საჭიროა სხვადასხვა უნარის გააქტიურება და მათი ინტეგრირებულად გამოყენება. ეს უნარებია: აღქმა და ანალიზი, წერა, წარმოსახვა და ვიზუალიზება, იდეების ორგანიზება და სქემატურად დაკავშირება, დასურათება და სხვ.

შესაძლებელია თითოეული სქემის ადაპტირება, გამარტივება ან გართულება მისი ამა თუ იმ ელემენტის ამოღების, ჩანაცვლების ან ჩამატების გზით. შესაბამისად, სქემების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან როგორც მშობლიური, ასევე მეორე ენის მოსწავლეებთან.

ჩვეულებრივ, მოსწავლეები ხალისითა და ინტერესით ავსებენ ვიზუალურ სქემებს. გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება აქტიურ სწავლას უწყობს ხელს. მაგალითად: საშინაო დავალების (სავარჯიშოების) შესრულების დროს, მოსწავლეები იმ ენას იყენებენ, რომელზეც ლაპარაკობენ, კითხულობენ, წერენ, ისმენენ, ფიქრობენ, ხოლო ინფორმაციის გრაფიკულად განლაგების დროს ისინი იყენებენ როგორც ნაცნობ, ასევე უცნობ ინფორმაციას. გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება

მასწავლებელს და მოსწავლეს შორის თანამშრომლობას, ანუ კოოპერატიულ სწავლებას, უწყობს ხელს.

გრაფიკული ორგანიზატორების ფუნქციებია:

· გრაფიკული ორგანიზატორები გვეხმარება ტექსტის ვიზუალურად მოწესრიგებაში (მის გაგებაში).

· გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება შეიძლება: ტექსტის ან ახალი მასალის წაკითხვის წინ, წაკითხვის შემდეგ, წერის ან დავალების წერილობით შესრულების წინ, ტექსტის ან დავალების განხილვის დროს, დისკუსიის დროს, დასკვნების გაკეთების პროცესში და ა.შ.

· გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება მოსწავლის სასწავლო თემის შესახებ არსებული ცოდნის დადგენაში (გააზრებაში) გვეხმარება, ასევე _ ახალი ცოდნის ათვისებისთვის მოსწავლეების მომზადებაში.

· მოსწავლეები საკუთარი ცოდნის სტრუქტურირებას სწავლობენ და აქედან გამომდინარე სწავლის საკუთარ სტრატეგიას ირჩევენ.

· გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება როგორც ვიზუალური, ასევე სიტყვიერი (ვერბალური) ინფორმაციის გამოყენებას განაპირობებს. ეს მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, აირჩიონ, ვარირება გაუკეთონ სწავლის სტილს, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

როგორ მივაჩვიოთ ბავშვები სქემების გამოყენებას? ამ შემთხვევაში ვიყენებთ პასუხისმგებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემის მოდელს, რაც შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

- მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს სქემის დანიშნულებასა და შევსების პროცედურას;
- მასწავლებელი თვალსაჩინოდ უჩვენებს მოსწავლეებს, თუ როგორ ივსება სქემა (მნიშვნელოვანია ხმამაღლა ფიქრისა და კონკრეტული ნიმუშის გამოყენება);
- მასწავლებელი ჩართავს მოსწავლეებს სქემის შევსების პროცესში (შესაძლებელია მან თავად დაიწყოს და შემდეგ მოსწავლეებს გააგრძელებინოს სქემის შევსება);

• მოსწავლეები იყენებენ სქემას ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს მათ მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება და აწვდის უკუკავშირს.

გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენების უპირატესობებია:

• შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთ აუდიტორიაში, რომელშიც მოსწავლეების ათვისების უნარის დონე სხვადასხვაა.

• შეგვიძლია განვავითაროთ და გავაფართოოთ ლექსიკური მარაგი.

• მოსწავლის ცოდნას აწესრიგებს, ხელს უწყობს მისი დისკუსიის უნარისა და შესაძლებლობის განვითარებას, ასევე საკუთარი აზრის და მის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოთქმის.

გაკვეთილის/აქტივობის მიზნებიდან გამომდინარე, სქემა შეიძლება შეივსოს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში.

ამგვარად წარმართული სასწავლო პროცესის შედეგად მოსწავლეები დამოუკიდებლად, მასწავლებლის საგანგებო მითითების გარეშე, სხვადასხვა დავალების შესრულების დროს ეფექტურად იყენებენ ამ სასწავლო ინსტრუმენტს.

ტექნიკური აღჭურვილობის არქონის შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია შერჩეული სქემა დახაზოს დაფაზე/დიდფორმატიან ქაღალდზე, რათა მოსწავლეებმა მარტივად მოახერხონ მისი გადახაზვა.

შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს:

იდეა და დეტალები



სიუჟეტისა და კონფლიქტის ანალიზი

ტექსტის სათაური _____

რა იყო მთავარი პრობლემა ამ მოთხრობაში? რის მიღწევა უნდოდა მთავარ პერსონაჟს? როგორ გადაწყდა პრობლემა?

მოვლენების ჯაჭვი

ტექსტის სათაური: _____

ინსტრუქცია: შეავსე უჯრები ტესტის მიხედვით.



დასკვნები და რეკომენდაციები

- კრიტიკული კითხვა, როგორც სწავლების პრაქტიკული მეთოდი ტექსტის დამუშავებისას მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას იძლევა: ტექსტის გააზრება, ჩაღრმავებულად შესწავლა, შემდგომში ინფორმაციის სწრაფი მოძიება და გამოყენება სწორედ კრიტიკული კითხვის მეთოდით არის შესაძლებელი.
- გლობალიზაციის პროცესი კაცობრიობას სტიმულს აძლევს, ხელახლა იქნას გააზრებული სწავლების, აღზრდისა და განათლების მთელი სისტემის როლი და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია და გაანალიზებულია კრიტიკული კითხვის სწავლების თანამედროვე მდგომარეობა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია სწავლების კონკრეტული მეთოდები და სტრატეგიები, დამუშავებულია სქემები და მათი გამოყენება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს.
- იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს გააზრებული წერა-კითხვა, საჭიროა მიზანმიმართული, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი აქტივობები, ეს აქტივობები მოითხოვს, როგორც მოსწავლის აქტიურ და გააზრებულ ჩართულობას, ისე მასწავლებლის მიერ სწავლა-სწავლების ეფექტური და თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარიმართება მისი განათლება და სწავლება, კერძოდ, როგორი ღირებულების მეცნიერული ცოდნა იქნება შერჩეული მოზარდის განათლების პროცესში და სწავლების როგორი მეთოდები და ტექნოლოგიები იქნება გამოყენებული, ვინაიდან სწორედ განათლებასა და სწავლებაზეა დამოკიდებული ადამიანის პოტენციალში არსებული ზოგადი უნარების განვითარება და მსოფლმხედველობის ფორმირება.
- ჩვენ მიერ წარმოდგენილი სტრატეგიების განხორციელების შედეგად მოსწავლეებს გაუადვილდებათ სხვადასხვა ტიპის ტექსტების შინაარსის გაგება-გააზრება, ტექსტში ძირითადისა და მეორეხარისხოვანის გარჩევა და მათთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების

გამართულად კითხვა. შესაბამისად კი განუვითარდებათ ინფორმაციის ადეკვატურად აღქმისა და დამუშავების, ლოგიკური მსჯელობის, მოვლენათა შორის არსებითი მიმართებების წვდომის უნარი, ეს კი ცხოვრებისეულ მოთხოვნებზე რეაგირების ანუ გარემოსთან ადაპტაციის საფუძველია.

- შევიმუშავეთ რეკომენდაციები, როგორ დავეხმარო მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკლასო გარემოს შექმნაში: წაახალისეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობა; შეუქმენით მოსწავლეებს კრიტიკულად აზროვნების მოტივაცია; მოახდინეთ კონცენტრირება ხარისხზე და არა დროზე; იყავით ღია კრიტიკისათვის; წაახალისეთ მოსწავლეები, იზრუნეთ მათი თვითშეფასების ამაღლებაზე.
- სწავლის ორგანიზებაში დიდ სამსახურს გაუწევს მოსწავლეს გრაფიკული ორგანიზატორები და კოგნიტური დიაგრამები, რომელთა საშუალებით: დაანაწევრებს და ორგანიზებას უკეთებს მოცემულ ინფორმაციას; შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას; ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას; სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას. გრაფიკული ორგანიზატორების/კოგნიტური დიაგრამები გამოიყენება როგორც ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე, მასალის ათვისების შემდეგ, შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს; როგორც ტექსტის კითხვისა და დამუშავების, ასევე წერითი სამუშაოს დაწყების დროს; საშინაო დავალების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს; გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს. ამით პედაგოგი ხელს უწყობს მოსწავლის სწავლის სწავლის უნარების განვითარებას. გრაფიკული ორგანიზატორები მოსწავლეებს დაეხმარება წაკითხულის გაგებასა და გააზრებაში, არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრებაში; მოვლენებსა და ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის დანახვაში; რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სტრატეგიის ტრანსფერს სხვა მასალის დამუშავების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, აკადემიური წერა, თბ. 2009, 202 გვ

2. ეფექტიანი სწავლება, თეორია და პრაქტიკა. გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010წ.

3. ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებლის წიგნი, თბილისი 2016 წ.

4. კაკაურიძე მ. – „წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ - კვლევის ანგარიში, 2017-2018 წწ.

5. კითხვის ეფექტური მეთოდები, სასწავლო მეთოდური ფილმი და გზამკვლევი, თბილისი 2010.

6. კოპლატაძე რ. – „კითხულობენ, მაგრამ გაგება უჭირთ“ - პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, 2017-2018 წწ.

7. მედია-წიგნიერების სახელმძღვანელო, საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტია, თბილისი 2018 წ.

8. პაპავა პ., ჭანტურია თ. - წიგნიერება - მასწავლებლის სახელმძღვანელო - თბილისი 2012 წ.

9. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, თბილისი 2007.

10. სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლ), საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, თბილისი 2015.

11. სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებული - ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, თბილისი 2015.

12. ფირჩხაძე მ. – „კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ტექნოლოგია და სტრატეგია“, თბილისი. http://mastsavlebeli.ge/uploads/kritikuli%20azrovnebis%20ganvitarebis%20zogierti%20teqnologiebi%20da%20strategiebi.pdf

13. ცხელიშვილი ს. – „კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევათა გაუმჯობესება საშუალო საფეხურზე“ - კვლევის ანგარიში, 2018-2019 წწ.

14. ხუნძაყიშვილი მ., ბივერი ს. - განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2018

15. ხალვაში ხ. – „ციფრული ინსტრუმენტები ხარისხიანი სწავლა/სწავლებისათვის“, თბილისი, 2020